645
1966/2

# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1966 წ



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყვავილები.

ფოტოეტიუდი თ. ფურცხვანიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს მზე თქვენია

დღეს ქალაქის ქუჩებსა და ბაღებში განსაკუთრებული ბავშვთმრავლობაა. მშვენიერი დღეა, — ზაფხულის პირველი დღე.

მხიარულად იცინის ცა, უდარდელად ირხევიან ყვავილები, შრიალებენ ფოთლები...

ამ ბაღსაც ფეხადგმული ყვავილებივით მოსდებიან ჩვენი ქალაქის პატარა მოქალაქენი.

ზოგი უფროსების კალთას ჩაფრენია და ბორძიკით ცდილობს ფეხის ადგმას, ზოგი სასრიალო გორაკებს, „კარუსელს", საბავშვო მატარებელს და ბაღის სხვადასხვა სათამაშო-გასართობს დაპატრონებია.

ერთერთ სკამძელზე, მოხუცის გვერდით ორი პატარა ჩამომჯდარა.

— ეს მზე ჩემია! — ამბობს 5 წლის გია.

— არა, ჩემი! — ესიტყვება სამი წლის მაია.

— ეს ცა ჩემია!

— არა, ჩემი!

— ბებო ჩემია! — არ ისვენებს გია.

— ჩემია, ჩემი! — ატირდა მაია.

— ორთავესი ვარ, გენაცვალეთ! — გულში იკრავს მათ გაბრწყინებული მოხუცი.

— რას ინატრებდით ამ თქვენი შვილიშვილებისათვის? — ვეკითხები მას.

მოხუცს ცოტა არ იყოს ეუცხოვა ჩემი შეკითხვა.

— ბედნიერებას, ამათ შემოვევლე!

იქვე პატარა ბორძიკობს, ეცემა, ისევ დგება, თან გაბმით ტიტინებს „და-და-და-და, მა-მა-მა-მა"... სახეგაბადრული მამა ფეხდაფეხ დასდევს მას.

— თქვენ? თქვენ რას უსურვებდით, თქვენს პატარას?

— სიცოცხლეს და ბედნიერებას.

მას მშობლები სამამულო ომში დაუკარგავს და კარგად იცის ამ ორი სიტყვის ფასი.

— თქვენი გოგონასთვის რაღას ინატრებდით? — მივუბრუნდი ახალგაზრდა დედას.

— სიცოცხლეს და ბედნიერებას, — ჩურჩულით მიპასუხებს იგი.

ეს ხმა ძლიერდება, ბაღის ფარგლებს სცილდება და მთელს ქალაქს, ქვეყანას, მსოფლიოს ედება...

...მშვენიერი დღეა, ზაფხულის პირველი დღე, რომელსაც რამდენიმე წელია, რაც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ეწოდა.

ბავშვთა დაცვა!!!

რა პარადოქსალურად ჟღერს ეს სიტყვები დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის — ამ საოცრებათა საუკუნეში და განსაკუთრებით ჩვენთვის, იმ ქვეყნის ადამიანებისათვის, სადაც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღე ბავშვებზე ზრუნვით დაიწყო.

მაგრამ ფაქტი ფაქტია: მსოფლიოს ხალხთა ისტორია სისხლითაა ნაწერი: ბარბაროსთა შემოსევები... ხელჩართული ბრძოლები, ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და აწიოკება, კოცონებზე დამწვარი და კალოებზე გალეწილი სიცოცხლე.

თუმცა არც ერთ ომს არ დაუტოვებია სამყაროში იმდენი ნასახლარი, თალხი და ცრემლი, რამდენიც ფაშისტური გერმანიის — „განათლებულ ბარბაროსთა" შემოსევამ დაგვიტოვა.

ოცდაერთმა წელმაც ვერ მოაშუშა საშინელი იარები მსოფლიოს ტანზე.

და მაინც ხან აქ, ხან იქ იფეთქებს ომის ახალი კერა, რომელიც შეიძლება უსაშინელეს მსოფლიო ხანძრად გადაიქცეს.

მრავალი მწარე გაკვეთილია და სამარცხვინო ლაქა XX საუკუნის სინდისზე:

მეორე მსოფლიო ომი, ხიროსიმა, ნაგასაკი, ომი კორეაში, კონგოში და ბოლო დღეთა ტრაგედია — ვიეტნამი!

— ადამიანებო, იყავით ფხიზლად! — ჩამოგვძახიან ომების ხელით გადიდებული, ახლობლების სურათები ჩვენი ბინების კედლებიდან.

— ადამიანებო, იყავით ფხიზლად! — მოგვღაღადებენ მსოფლიოს ყოველ კუთხეში გათხრილი ძმათა საფლავები.

— ადამიანებო, იყავით ფხიზლად!!!

და მართლაც ადამიანებს არ შეგვიძლია ვიყოთ მშვიდად, სანამ ომის აჩრდილი დაძრწის მსოფლიოში, ახალახალი ნასახლარები ჩნდება ვიეტნამში, სანამ ჩვენს დღევანდელ სამყაროში — ადამიანის გონების ამ განსაცვიფრებელ სამეფოში — დაიბოტებს უმეცრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ახალი ადამიანი ემატება მსოფლიოს ყოველ წამში.

ბავშვის დაბადებასთან ერთად იბადება ყველაფერზე ძლიერი, უანგარო გრძნობა — მშობლიური სიყვარული და ეს გრძნობა წარმოშობს ჩვენს მიერ გაჩენილი სიცოცხლისათვის შრომის, ბრძოლის და თავგანწირვის უდიდეს უნარს.

— ეს მზე ჩემია!

— ეს ცა ჩემია! —

იძახის პატარა და მკლავებგაშლილი ეპოტინება მზეს, ცას, ყვავილებს, ადამიანის გონებისა და ხელის ძალით ათასფრად აჭრელებულ ზღაპრულ სამყაროს.

და ქალს, მსოფლიოს ყველა ბავშვის დედას, არ შეუძლია შეურიგდეს იმ გარემოებას, რომ მილიონობით პატარა — კაცობრიობის ყველაზე ძვირფასი განძეული — მოკლებულია ბავშვობის სიხარულს, ექსპლოატირებული და უთავშესაფარო, ნაადრევი სიკვდილისთვისაა განწირული, არ შეუძლია მშვიდად უცქიროს, როგორ ირწევა ზეცის თავანზე სიკვდილით სავსე ყუმბარა.

ამიტომაა, რომ მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლთა ბანაკში ყველაზე მკვეთრად დედების ხმა გაისმის.

ამიტომაა, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის უმთავრეს ამოცანას ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერების დაცვა წარმოადგენს. სწორედ მის მიერ იქნა დაწესებული 1949 წელს 1 ივნისი ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღედ. ხოლო 1955 წელს, ქ. ლოზანაში მოწვეულ დედათა მსოფლიო კონგრესზე მიღებულ იქნა მანიფესტი: „ჩვენ ყველამ ვიცით რამდენი შრომა და ღონეა საჭირო ბავშვების აღსაზრდელად, იმისათვის, რომ იგი ადამიანად იქცეს და ჩვენ არ გვინდა მოისპოს სიცოცხლე, რომელსაც ჩვენვე ვაძლევთ სათავეს“.

შვიდი წელი გავიდა ბავშვთა უფლებების დეკლარაციის გამოქვეყნებიდან. ეს უფლებები შესანიშნავადაა დაცული საბჭოთა კავშირსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებში, სადაც ბავშვები საერთო ზრუნვისა და სიყვარულის ატმოსფეროში იზრდებიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ერთერთ მთავარ საკითხადაც ჩვენს ბავშვებზე ზრუნვა, ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი აღზრდა, მისი ცხოვრების კიდევ მეტად სრულყოფა იქნა მიჩნეული.

ყველა ბავშვი თანაბარი უფლებით მოდის ამ ქვეყნად, ამ უფლებათა დაცვა ყველა ჩვენგანის უწმინდესი მოვალეობაა.

ადამიანი ბედნიერებისათვის იბადება.

ჩვენი უდიდესი სურვილი და გაუტეხელი ნება შექმნის და დაამკვიდრებს ამ ბედნიერებას.

ჩვენი პატარები, ჩვენი პლანეტის უმცროსი თაობა ნათელი, მზიანი, ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრებს. და ჩვენ აღარ დაგვჭირდება ბავშვთა დაცვის დღე.

ყველა დღეს ბავშვთა ბედნიერების დღე უნდა ერქვას — ეს ასეც იქნება!!!

**მარიკა ბარათაშვილი**

# მოზარდთა საყვარელი თეატრი

დარბაზში შუქი აინთო. ბავშვებს გადავავლე თვალი. გულდაწყვეტილი ჩანდა ნორჩი მაყურებელი: დამთავრდა პირველი მოქმედება პოეტური ზღაპრისა ბოროტ დედინაცვალსა და მის მზეთუნახავ გერზე — კონკიაზე.

აღელვებული გამოვედი და კიბეებს დაფიქრებული ჩავყევი. ბავშვის ტირილი მომესმა. მოვიხედე. მხარდამხარ ახალგაზრდა დედა მომდევდა, სახელოში ბავშვი ჩაფრენოდა და ემუდარებოდა — ხომ გვაქვს სახლში ერთი საკაბე? მივუტანოთ ბოროტ დედინაცვალს და კონკია სასახლეში გაუშვასო. დედა ბავშვს ეფერებოდა, აწყნარებდა. მივუახლოვდი დედა-შვილს. საუბარში ჩავერიე. ბავშვი დავამშვიდე: ეს ზღაპარია და ყველაფერი კარგად დამთავრდება-მეთქი. ბავშვმა წყლიანი თვალები მომაპყრო და გაიღიმა.

ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ ასეთი სცენის მოწმე და რამდენჯერ სიამაყით მიფიქრია იმ ადამიანებზე, რომლებიც უხვ საზრდოს აძლევენ, ცოდნის წყურვილს აღუძრავენ და დიდ მიზნებს ჩააგონებენ ჩვენს პატარებს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავთ, რომ „კონკია“ ქეთევან ქუჩუკაშვილის მეორე ზღაპარია, რომელიც მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სცენაზე დაიდგა. ავტორმა ამ პიესაში დაჩაგრული, მაგრამ კეთილი გოგონას — კონკიას პოეტური სახე მოგვცა. ამ ლირიულ სპექტაკლში ყოველი სცენა და მიზანსცენა შთამბეჭდავია, და ბავშვებს კეთილშობილებისაკენ მოუწოდებს, სიმართლის სიყვარულს უნერგავს. საბავშვო თეატრი ხომ სწორედ ამისათვის არის მოწოდებული და ამაზე ფიქრობდნენ მისი მესვეურებიც, ბავშვებისათვის საკუთარი თეატრის არსებობის აუცილებლობა რომ დაასაბუთეს.

საქართველოში მოზარდ მაყურებელთა თეატრის არსებობას ხანმოკლე ისტორია აქვს — იგი ჩვენს თვალწინ დაარსდა, დავაჟკაცდა, შემოქმედებითად მომწიფდა და საინტერესო მხატვრულ კოლექტივად ჩამოყალიბდა.

ჩვენს ქვეყანაში საბავშვო თეატრები ოქტომბრის რევოლუციამ შვა — ბლოკადის ბრჭყალებში მოქცეული ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა ინტერვენციასაც ებრძოდა და მომავალი თაობის ესთეტური აღზრდის კერის შექმნაზეც ზრუნავდა.

საქართველოში ბავშვებისათვის საკუთარი თეატრის დაარსების პროექტის ავტორი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ელ. ანდრონიკაშვილი ყოფილა, ხოლო პირველი მესვეურები—დოდო ანთაძე, გრიგოლ მიქელაძე და გრიგოლ სულიაშვილი. თუმცა მათ მიერ მომზადებული ორივე სპექტაკლი სუსტი გამომდგარა, მაგრამ იმდენად ყოფილა მნიშვნელოვანი, რამდენადაც საბავშვო თეატრის დაარსების ინტერესი გაუღვივებია.

თბილისის ქართულ საბავშვო თეატრს, მაშინ უკვე ცნობილი, დრამისა და კინოს მსახიობი, სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე თაყაიშვილი ჩასდგომია სათავეში. ამ საპასუხისმგებლო პოსტზე იგი დიდ ქართველ რეჟისორს — კოტე მარჯანიშვილს დაუსახელებია. ნდობას თაყაიშვილისათვის ფრთები შეუსხამს და მაშინვე საორგანიზაციო მუშაობა დაუწყია: კადრები შეურჩევია, რეპერტუარის დამტკიცებას შესდგომია, სარეპეტიციო მოედანი უშოვნია და განუსაზღვრია რომელი თეატრის დარბაზში მოუხდებოდა პირველი სპექტაკლის ჩვენება.

თეატრის ორგანიზმი რთულია. იგი გულისხმობს დრამატურგის, რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის და კომპოზიტორის ორგანულად დაკავშირებულ შრომას სანახაობის შექმნის მიზნით, სანახაობისა, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, სპექტაკლს ვუწოდებთ.

იდეურად და მხატვრულად სრულფასოვან სპექტაკლად ის სპექტაკლი მიგვაჩნია, რომელშიც ყველა ეს ელემენტი ჰარმონიულად არის თავმოყრილი. ამასთან ერთად ყველა

საბავშვო თეატრი სხვა მიზანსაც ისახავს: მან უნდა აღზარდოს განათლებული, კულტურული, შეგნებული, პატიოსანი ადამიანი, ერთი სიტყვით, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი. აი, ამ მოთხოვნილებებს ითვალისწინებდნენ ჩვენში საბავშვო თეატრის მესვეურნიც.

ახლად ჩამოყალიბებულმა საბავშვო თეატრმა მუშაობა ზაიცკის „რობინ ჰუდზე" და საცის „ფრიც ბაუერზე" დაიწყო. პირველი სპექტაკლი, რომელიც კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა, პოეტ კარლო კალაძის მიერ გადმოკეთებული „ფრიც ბაუერი" იყო. პრემიერა 1928 წლის 11 ნოემბერს შედგა, ოპერის სცენაზე. მას „რობინ ჰუდიც" მოჰყვა. სპექტაკლებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ მალე თეატრმა საკუთარი შენობაც მიიღო და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სახელიც დაიმკვიდრა.

ამ პერიოდში დასში ირიცხებოდნენ: გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, მ. ერგნელი, ე. ციხისთავი, მ. ქორელი, ბაბო გამრეკელი, ე. ბარბაქაძე, ნ. ერისთავი, ქ. ჩეჩელაშვილი, ე. მახარაძე, ნ. ტყემალაძე, ბ. გამრეკელი, გ. დარისპანაშვილი, მ. ჯაფარიძე, ა. გომელაური, გ. ყორდანია, ნ. მიქაშავიძე, გ. ლომაია, ი. გვინჩიძე, შ. მჟავანაძე, ვ. კობელი, ნ. ილურიძე, გ. როსება და ბ. სვანი.

თეატრში დადგმული პიესები წარსულის რევოლუციურ ბრძოლებს, სამოქალაქო ომისა და პარტიზანული მოძრაობის ეპიზოდებს ასახავდნენ, მაყურებელს მოუთხრობდნენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ბავშვების საქმიანობაზე. ამასთან ერთად თეატრი აქტიურად იბრძოდა ქართული საბავშვო დრამატურგიის შესაქმნელად.

პირველი ქართული საბავშვო პიესა, რომელიც თეატრის სცენაზე განხორციელდა, ამავე თეატრის მსახიობის ვ. კობელის „გოჩა" იყო. ამას მოჰყვა შ. დადიანის „ბოთე და კუსპარა" და ა. კერესელიძის „ეშმაკი". დასახელებული პიესებიდან არც ერთი არ წარმოადგენს სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებს და ამიტომ თეატრის დაუცხრომელი ხელმძღვანელი თავისი დრამატურგების ძებნას განაგრძობდა.

თეატრის პირველი დრამატურგები იყვნენ ს. მთვარაძე და გ. ნახუცრიშვილი. შემდეგში მათ შემატათ ალ. კაჭკაჭიშვილი, გ. დარისპანაშვილი და კ. გოგიაშვილი.

პირველი კლასიკური ნაწარმოები, რომელიც 1934 წელს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე განხორციელდა, ს. მთვარაძის მიერ ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით შექმნილი „სურამის ციხე" გახლდათ. ეს დადგმა თეატრის პირველ სავიზიტო სპექტაკლად იქცა, ოცი წელი შემორჩა სცენას და 500-ჯერ გათამაშდა. ამ სპექტაკლის გაფორმება ეკუთვნოდა მეტისმეტად საინტერესო და მაღალნიჭიერ თეატრალურ მხატვარს — პეტრე ოცხელს.

„სურამის ციხის" დადგმამ თეატრის სცენაზე კლასიკური სიუჟეტების ჩვენების ტრადიცია დამკვიდრა: დაიდგა „ქაჯანა", „ბაშიაჩუკი", ამას მოჰყვა რუსული და უცხოური კლასიკური ნაწარმოებები: ა. პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილი", ალ. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", შექსპირის „რომეო და ჯულიეტა" და „ჭირვეული ცოლის მორჯულება", მოლიერის „სკაპენის ოინები" და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ხალხური ზღაპრის მოტივებზე შექმნილმა პიესებმა („ნაცარქექია", „კომბლე" და სხვა).

მაგრამ თეატრი მარტო ზღაპრებით და კლასიკური რეპერტუარის ჩვენებით როდი იფარგლება — სხვადასხვა დროს იგი დგამს მუშათა კლასის ბრძოლების ამსახველ პიესებს: გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველს", გ. ნახუცრიშვილის „ცეცხლის ხაზზე", დ. თაქთაქიშვილის „ნევის შევარდენს". სპექტაკლ „ცეცხლის ხაზზე" საქართველოში კომკავ-



„გიქორი". გიქორი (მარცხნიდან მეორე) — რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგუცა კუპრაშვილი.



„შაითან-ხიხო". სცენა სპექტაკლიდან.



**„წითელი ყელსახვევი". ვალერი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ თვალიაშვილი.**

შირის არსებობის ოცი წლისთავს ეძღვნა და ამჟამადაც წარმატებით სარგებლობს.

ზემოთ მოვიხსენიეთ მსახიობები, რომლებიც თეატრის დასში მისი დაარსებიდანვე ირიცხებოდნენ და ამ თეატრის ისტორიის განუყრელ ნაწილად იქცნენ. შემდეგში მათ თანდათანობით შეემატნენ: ნ. სირბილაძე, ვ. ნინუა, ალ. კაჭკაჭიშვილი, ა. ღვინიაშვილი, დ. ცხაკაია, გ. დეისაძე, ვ. არეშიძე, ნ. ხორავა, ს. გამრეკელი, გ. აბაშიძე, მ. ჯაჯანაშვილი, ი. დონაური და სხვები.

და რაიმე შეკრებულობა, მას რომ მონაწილეობა არ მიეღო. ნიჭიერ გოგონას კონსერვატორიასთან არსებულ დრამატული ფაკულტეტისათვის მიუშურებია და მისი დამთავრების შემდეგ სცენას არ მოშორებია. 30 წელი მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სცენაზე და 80-მდე როლი განასახიერა. მეტად ნიჭიერი და მრავალმხრივი მსახიობი, წარმატებით თამაშობდა როგორც ბიჭების, ასევე გოგონების როლებს. დაუვიწყარია



ახალი პიესის განხილვა. თეატრის მთავარი რეჟისორი ს. ჭელიძე, თეატრის დირექტორი ვ. ჯახუტაშვილი და დრამატურგი გ. ნახუცრიშვილი.

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის წინსვლა და განვითარება წარმოუდგენელია ამ თეატრის უნიჭიერესი მსახიობების — გოგუცა კუპრაშვილისა და თამარ თვალიაშვილის გარეშე. თავიანთ პროფესიაზე საოცრად შეყვარებულებს, მათ არც ნიჭი და არც ენერგია არ დაუზოგავთ თეატრის სამსახურში. ისინი გარდასახვის საიდუმლოებას ჩინებულად ფლობდნენ და თავიანთ დიდ ნიჭს ყოველთვის წარმართავდნენ მხატვრული სახის რეალისტურად და შთამბეჭდავად გამოსაძერწად. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გ. კუპრაშვილის და თ. თვალიაშვილის სახელები მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სინონიმებად იქცნენ.

ხუთი წლის იყო გოგუცა კუპრაშვილი სცენაზე პირველად რომ გამოიყვანეს ქუთაისში, ეკ. გაბაშვილის პატივსაცემად მოწყობილ სადღესასწაულო დილაში. ამის შემდეგ, აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს, პატარა გოგუცას დედათა და ბავშვთა სახელით სიტყვა უთქვამს დიდი მგოსნისათვის და აქედან დაწყებულა მისი სცენური გზა. იშვიათად მოეწყობოდა

მისი ვახუშტი—გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექიაში“, გიქორ — ო. თუმანიანის „გიქორში“, დიეგო — ა. კაჭკაჭიშვილის „ადელანტეში“, ძიძა — უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“ და მრავალი სხვა.

თეატრის სიყვარულმა მიიყვანა თამარ თვალიაშვილი ქართულ დრამატულ სტუდიაში, სადაც ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები. შემდეგ მოსკოვი, იქაც ქართული დრამატული სტუდია, და ბოლოს საოცნებო თეატრი, ოღონდ მეტად თავისებური: მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი, სადაც მისი დაარსების პირველი დღიდანვე მოვიდა, 70-მდე როლი ითამაშა და გ. კუპრაშვილთან ერთად იმ თეატრის განუყოფელ ნაწილად იქცა. თამარი თამაშობდა ბიჭების, გოგონების, ქალიშვილების, ხანდაზმული ქალების როლებს. მის მიერ შესრულებული როლები: ფრიცი — საცის „ფრიც ბაუერში“, ზურაბი—ს. მთვარაძის „სურამის ციხეში“, ქაჯანა — კ. გოგოძის „ქაჯანაში“ (ნ. ლომოურის მოთხრობის მიხედვით), ჯულიეტა—შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“, მაშა—პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილში“ და სხვ. მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის ოქროს ფონდში შევიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ორ შესანიშნავ მსახიობზე ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება, ამ პატარა სტატიაში კი მათი სასიქადულო საქმეების ჩამოთვლა შეუძლებელია, გვინდა მხოლოდ მოგაგონოთ, რომ კეთილად ჩაყრილი ნერგი კეთილ ნაყოფს იძლევა.

ამჟამად თეატრს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი სერგო ჭელიძე ხელმძღვანელობს. იგი ჭაბუკობის დროს ჯერ ამ თეატრის მსახიობი იყო, შემდეგ კი, სხვადასხვა წლებში, რეჟისორი და ხელმძღვანელიც.

თეატრში დამდგმელ-რეჟისორებად მუშაობენ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები შ. გაწერელია და თ. მაღალაშვილი. დასს შეემატნენ ნიჭიერი მსახიობები: დ. ძნელაძე, ე. ჩაჩავა, ე. სიხარულიძე, ლ. ძიგრაშვილი, რ. თავართქილაძე, ფ. სონღულაშვილი, ლ. ფერაძე, ც. ქორქოლაძე, ბ. ჯაფარიძე, ც. ქიტიაშვილი, ა. ფხალაძე, თ. ფარცხალაძე, ი. ტყავაძე, გ. რევაზიშვილი, ი. ელისაშვილი, ს. გაბისონია, შ. ლორთქიფანიძე, დ. ხულორდავა, ნ. ცერცვაძე და სხვები; ისინი პროფესიული სინდისიერებით აგრძელებენ წინამორბედების დაწყებულ საქმეს.

თეატრი გულმოდგინედ იღწვის ეროვნული დრამატურგიის განვითარებისათვის. თუ კარგა ხნის წინათ ხშირად გაისმოდა საყვედური: დადგმული პიესების უმრავლესობა ქართული არ არისო, ამჟამად რეპერტუარში დიდია ორიგინალური დრამატურგიის ხვედრითი წონა. სეზონში დადგმული ხუთი სპექტაკლიდან ოთხი: გ. ნახუცრიშვილის — „შაითან ხიხო“ და „ბორის ძნელაძე“, ა. ჩხაიძის — „როცა მთავრდება ბავშვობა“ და ქ. ქუჩუკაშვილის — „კოწკია“ ორიგინალური დრამატურგიის ნიმუშია, ხოლო ერთი — „ციხე-სიმაგრის საიდუმლო“ ესტონელი საბავშვო მწერლის კ. ნეგოს წიგნის ინსცენირებას წარმოადგენს. თეატრი ამჟამად მუშაობს საბავშვო მწერლის ვ. კახაძის პიესაზე — „კოცონი შინდიგორაზე“.

ცალკეა აღსანიშნავი დრამატურგ გ. ნახუცრიშვილის ღვაწლი. მისმა მრავალმა პიესამ მოხიბლა ნორჩი მაყურებელი. დღესაც გ. ნახუცრიშვილი ყველაზე ახლობელი და ერთგული ავტორია ამ თეატრისა.

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი, სხვა ნიჭიერი თეატრალური კოლექტივების მსგავსად, მუდამ ძიების პროცესშია, მუდამ წინ მიისწრაფვის.

**მაყვალა ცხომარია,**
მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები

ილია რურუა

## ჯანღვრის ყვავილი

წაღვერიდან მოვყვები მატარებელს.
ნელა ირწევა ბავშვის სათამაშოსავით პატარა ღია ვაგონი.

ხალხი ცოტაა, სულ ცოტა — სადგურის ბაქანზე.

სადგურის წინ, აყვავებული ცაცხვის ძირში, გრძელ სკამზე სხედან ბავშვები. მათში ერთი ურევია — ვერ იტყვი, სულ ბავშვიაო. ჰადა-ჰა, გოგონა — ქალიშვილი.

იგი თავისი დიდი, ხიჩინა თვალებით ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებს. ორივე ხელი სკამზე დაუყრდნია, კევს ღეჭავს და დაშოლტილ ტიტველ ფეხებს აქანავებს.

მატარებელი დაიძრა.

გოგონა აცმუკდა, თითქოს ზევით ამომხტარ მხრებზე შემოსკუპული სასაცილო კიკინები უღიტინებენო. უცებ, მთელი ტანით წინ გადმოიხარა და მის მარცხენა ხელში წითლად აკიაფდა მინდვრის ლამაზი ყვავილი. დაუკითხავ და შეუცნობელ სურვილს აყოლილი მკლავი წამით გაირინდა სივრცეში და შემდეგ ვაგონის კიდეზე გადაწოლილ ჯარისკაცს გაუსწორდა.

რაოდენ თამამი იყო ეს უმანკო მოძრაობა!

კოხტა ქოჩორა ჯარისკაცმა დაბნეულად გაიღიმა.

მე შევერცხლილ თმაზე გადავისვი ხელი.

წაღვერიდან მოვყვები მატარებელს...

## როცა ადამიანი მარტოა

ეს სახლი ჩვენს პირდაპირ დგას.

ოჯახური წვრილმანები, ჩვეულებრივ, ლოჯიებსა და სამზარეულოებში მიმდინარეობს.

ჩვენც, უნებურად, ბევრი რამის მოწმენი ვხდებით.

აი, თუნდ იმ ბინაში, მეორე სადარბაზოს ხელმარცხნივ, პირველ სართულზე რომ არის.

ყოველდღე ამ ბინაში მარტო, ჩაკეტილში, ტოვებენ პატარა ბიჭს.

მესმის, დედაც მსახურობს და მამაც. მაგრამ ვერ გამიგია, რად არ მიაბარებენ ბიჭს საბავშვო ბაღში.

იქნებ მეტისმეტად ჭკვიან და დამჯერე ბიჭად თვლიან.

უფროსებს წასულთ დაიგულებენ თუ არა, ლოჯიას მიადგება ოთხი-ხუთი ბავშვი, თითქოს მიწიდან ამოძვრენო.

ბინა დაბალზეა, მათთვის მაინც იალბუზია, თუმც მრავალგზის აღებული. ახლაც ფანჯარაში მიძვრებიან, ერთმანეთის მიყოლებით, ერთმანეთის ზურგთა დახმარებით.

დიდხანს არ ჩანან. მათი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

ჩემი ფიქრით, ბინაში ყველაფერი ყირაზე დგას.

ეხუმრებით ხუთ ბავშვს?!

ისიც ვიცი, როცა უფროსები დაბრუნდებიან, ყველაფერი თავის ადგილას იქნება. სკამი რომ სკამია, ისიც არ იქნება გაქანებული.

მარტო დარჩენილი ბიჭი მიიღებს ნაღვლიან სახეს...

რა საგულისხმო გაკვეთილს გვაძლევენ ხოლმე ბავშვები ხშირად. თუნდ ესენი.

მათ იმდენად როდი იციან, რამდენადაც გრძნობენ —მარტოდ დატოვებული ადამიანი ცოდვაა.

## ყველაზე ბუნდოვანი ზღაპარი

იგი ეთხოვებოდა სიცოცხლეს იმ დროს, როცა დედობის სიხარული ბევრისათვის მხოლოდ იწყება.

უწყალო იყო სენის განჩინება. ამიტომ, მთელი ამდენი თვეების შემდეგ პირველად მოაყვანინა პირმშო საავადმყოფოში.

ითხოვა შვილთან მარტო დაეტოვებინათ.

კოცნას მოერიდა. მხოლოდ ხელი გადაუსვა სიასამურივით რბილ თმაზე.

ბიჭი თითქმის უცხოობდა. დედის გული ტკივილით შეიკუმშა, მაგრამ ამით თითქოს რაღაც სიმსუბუქეც მიეცა.

— შვილო, —დაიწყო ბოლოს დაბალი, იდუმალი ხმით, —მე ამაღამ წავალ ძალიან შორ გზაზე... სახლში იქნება ტირილი, მაგრამ შენ ნუ იტირებ... მე დავბრუნდები ორი-სამი წლის შემდეგ, როცა სკოლაში შენი წასვლის დრო მოვა... ამას მარტო შენ გეუბნები. სხვას არავის უთხრა... ჰო, შვილო!.. მე ისევ დავბრუნდები, მაგრამ სახით სულ სხვა დედიკო ვიქნები... მაშინ შენც დიდი იქნები და იქნებ არც ასე ხშირად მოგეალერსო... იქნებ ხანდახან გაგიჯავრდე კიდეც. მაგრამ არ შემიძულო. ის ქალი მაინც მე ვიქნები, შენი დედიკო...

მიყუჩდა და სახე კედლისაკენ მიაბრუნა.

ბიჭი დაბნეული იდგა. ვერ გარკვეულიყო იმის აზრში, რაც უთხრეს.

დედისაგან ადრეც მოუსმენია ზღაპრები.

ასეთი ბუნდოვანი არც ერთი ზღაპარი არ ყოფილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბელა

ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის საქციელით დამაინტერესეს, მირჩიეს, გავცნობოდი საქმის ვითარებას და რაიმე დამეწერა.

ადგილზე რომ ჩავედი და ყველაფერი შევიტყვე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, დღესაც ვერ გამოვრკვეულვარ...

თითქოს რაღაც უხილავი მძიმე ლოდი დამწოლოდეს გულზე. ვიფიქრე, ამ ლოდს გულიდან რა მომახსნევინებს-მეთქი და დიდხანს ვერც მივჯდომოდი საწერ მაგიდას. თუმცა, რასაც ახლა ქვემოთ წაიკითხავთ, ისიც მკრთალი ანარეკლია განცდილისა.

ბელა მწითური პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აღზარდეს. დუშეთში ვაჟას სახელობის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, უფროს პიონერხელმძღვანელად დატოვეს იქვე, სკოლაში. კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრიც იყო. დუშეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი ხომ მეცხოველეობაა, და ბელამაც გადაწყვიტა ზოოტექნიკოსი გამოსულიყო. წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, ცოლად გაჰყვა თანაკურსელ გერმანე ტერტერაშვილს, დაბრუნდა მშობლიურ დუშეთში და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის — შრომის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა მეორე საშუალო სკოლაში. პედაგოგი მშობლების (მამა რამდენიმე წელიწადია რაიაღმასკომის თავმჯდომარეა) მიერ აღზრდილი ბელა თავადაც მთელი არსებით ჩაება ნორჩი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში. თვითონაც ეყოლა გულისგამხარებელი ბავშვები — ჯერ მერაბი, მთლად მამას რომ ჰგავს, და შემდეგ მარინე — ზედგამოჭრილი დედა, როგორიც პატარაობისას იყო.

ოთხი წლის მერაბი ხან ცელქია, ხანაც დინჯი და დაფიქრებული, ხშირად უჭირავს თვალი უმცროს დაზე — არაფერს წამოედოს, არაფერი იტკინოსო. და თუ რასმე დააშავებს, თითის დაქნევით დატუქსავს ხოლმე, მერე მოეფერება, დაუყვავებს — უფროსია!

ბავშვები, სულში ჩაიძვრენო რომ იტყვიან, სწორედ ისეთები არიან, განსაკუთრებით, ეს ოქროსკულულებიანი ორი წლის მარინე.

— ვისი ხარ, მარინე, შენა? — ვეკითხები, როგორც ჩუმად მიკარნახეს.

— ბესი, — უზრუნველად მიპასუხებს, ესე იგი ბელასიო, და ლოყაზე მარჯვენა ხელს მიცაცუნებს.

— სად არის, გენაცვალე, ბელა? — კვლავ მთხოვენ შევეკითხო.

— თილიში, — მომიგებს დაუყოვნებლივ, — თბილისშიო!

ჯერჯერობით ასე არწმუნებენ ბავშვებს ბებია მარიამი და პაპა შალვა — ბელას მშობლები. მამა კი — გერმანე თავს იკავებს — დაე, ასე იყოს, როგორც ბაბოს და პაპას სურთ, დაე, ასე ეგონოთ ბავშვებს! მერე წუთით თავს ხელებში ჩარგავს, თვალებს მილულავს და წავა და წავა შორს...

ყველა ჩვენთაგანისათვის არის რაღაც ხელშეუხები რამ წალკოტი — ჩვენი ფიქრები, ჩვენი სამყარო, რომელსაც მივმართავთ ხოლმე განსაცდელისა თუ ბედნიერების ჟამს. ახლაც, გერმანეს პირად სამყაროში, მის წარმოდგენაში ცოცხლდება მისი ბელა, მხრებზე ორ ტოტად დაყრილი ნაწნავებით, შველივით მოღერებული ბროლის ყელით...

მომთხოვნი და გულისხმიერი, მუდამ ტკბილმოუბარი, ბავშვების გულის მესაიდუმლე, საყვარელი ბელა-მასწავლებელი — შრომის მასწავლებელი!

— შრომა აკეთილშობილებს და ალამაზებს ადამიანს, შრომაშია სიხარული და გზა ბედნიერებისაკენ მხოლოდ შრომით გაიდება! — ბელა-მასწავლებლის ეს სიტყვები მუდამ ახსოვთ მის მოსწავლეებს.

იმ დღესაც შრომის გაკვეთილზე მიჰყავდა მას თავისი V კლასი. სამი გაკვეთილი დამთავრებული იყო და მეოთხე, შრომისა, მასწავლებელს მახლობელი კოლმეურნეობის ფერმაში უნდა ჩაეტარებინა.

შარშანდელი ოცდასამი სექტემბრის მზიანი დღე. არც ბავშვების, არც მასწავლებლის გუნება-განწყობას არაფერი ჩრდილავდა. მოსარკული ცა, შემოდგომის მზე, მაცოცხლებელი ნელ-თბილი ნიავი. აგერ გზაც დუშეთიდან მილახვრიანთკარისაკენ. ეს ბაზალეთის ტბისკენ მიმავალი გზაა, ყოფილი სამხედრო გზაა. აგერ, სულ ახლოს, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი!

გზა, გზა! — ვინ მოთვლის რამდენი გზაა დედამიწის ზურგზე: განიერი და ვიწრო, მთისა და ვაკის, ტყისპირ მიმავალი თუ მდინარის გაყოლებით დაკლაკნილი... გზები! სიხარულის მომტანი, ბედნიერებისაკენ გადებული გზები! ხომ ასეთი უნდა იყოს გზები, არა?! ასეც არის, მაგრამ აქ, მილახვრიანთკარის გზაჯვარედინზე, იმ ერთ წუთს...

ბელა, გზის გადაღმა რომ სასურსათო პატარა სავაჭრო ჯიხურია, აი, იმას რომ გაუპირისპირდა, შედგა, ბავშვებიც შეჩერდნენ. ბელამ მზრუნველი თვალი გადაავლო მათ, რამდენიმეს — ახლო მდგომთ — ხელი გადახვია და თქვა:

— ალბათ გეშიებათ, ბავშვებო, მეოთხე გაკვეთილია! — მერე საფულე გახსნა, სამმანეთიანი ამოიღო. — აჰა, გაიქეცით, დასანაყრებელი რამ იყიდეთ თქვენთვის!

მაგრამ ფული არავის გამოურთმევია.

— არა, ბელა-მასწ... არა გვშია, სადილობამდე მოვითმენთ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ეს იყო ბელა მასწავლებლის უკანასკნელი მშვიდი მიმართვა თავისი მოსწავლეებისადმი. მას შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მაღლიდან მომავალ გზას მეტეორივით მოსწყდა რაღაცნაირად ზიგზაგურად მქროლი თვითმცლელი ავტომანქანა. ყოველნაირად ჩანდა, რომ მძღოლს დაჰკარგვოდა ან სულაც არა ჰქონდა მართვის უნარი.

ის იყო შარაგზა საშინელი რახრახით უნდა გადაეკვეთა მანქანას, ტელეგრაფის ბოძს დასჯახებოდა, ღობე გადაელეწა და ბავშვებიც გაეტანა, რომ ბელამ სხეულში რაღაც ძუ ვეფხვის ძალა იგრძნო, ერთი ხელის მოხვევით და მძლავრი წაბიძგებით თვალის დახამხამების უმალ მარცხენა მხარეს მიმავალი ბავშვების გუნდი დაჯახების ადგილს მოარიდა. მაგრამ ვაი რომ, ძრავაგამორთული, ინერციით მქროლავი, უმართავი მანქანა მთელი სიჩქარით იქითკენ გაქანდა, სადაც შიშით გაოგნებული მოსწავლეები მოქუჩებულიყვნენ.

— ბავშ-ვე-ბიიი! — ამოიგმინა ბელამ და მკლავებგაშლილი, როგორც კრუხი წიწილებს, როცა მათ ქორი დააცხრება, გადაეფარა თავის მოსწავლეებს, მათკენ მქროლ მანქანას გადაეღობა.

მან იგრძნო, როგორ ულმობლად მორახრახებდნენ მისკენ უზარმაზარი ბორბლები. თავის საშველად დრო კიდევ რჩებოდა, მაგრამ იმავე სისწრაფით, როგორითაც ეს ბორბლები ღერძის გარშემო ტრიალებდნენ, ბელას ცნობიერებაში გაირბინეს განწირულის ხმით ხან დედის, ხანაც მასწავლებლის მხმობელი მოსწავლეების სახეებმა. ამათ, ბელას წარმოდგენაში, ენაცვლებოდნენ მისი პაწია მერაბისა და მარინეს სახეები. ახლა ბელასათვის ძნელი იყო გაერკვია, თუ ვინ იხსნა, ვის გადაეფარა — მერაბსა და მარინეს, თუ ჯერ თავისი მოსწავლეები იხსნა... ყოველივე ამის გარჩევისათვის საჭირო იყო ძალა, რომელიც მას ერთმეოდა.

ამბობენ, მანქანამ, რომელსაც საკუთარი სხეული შეაგება ბელამ, რათა მოსწავლეებამდე არ გაეშვა, ორჯერ გადაუარა მას — ერთხელ, პირველად რომ დაეჯახა, მეორედ — უკან დაქანებისას, — ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დამდგარიყო უსინდისო კაცის ხელით მართული და ოხერტიალი ეს მანქანა!

ვაგლახ, რომ ქალის ნაზი, სუსტი სხეული ფარად ვეღარ გასწვდა ყველას და იმ მანქანამ მაინც იმსხვერპლა სამი ბავშვი. ელენე ნარიმანიძემ, ციცინო სოზიევმა და ნატალია კარიაულმა საყვარელ მასწავლებელთან ერთად დალიეს სული.

განა, ოდესმე დაივიწყებენ ამ სურათს გადარჩენილნი?!

...მილახვრიანთკარის ტრაგედიის მონაწილე და მოწმე მოსწავლეებისათვის ბელა მწითური სხვისი დედა იყოო, არ ითქმის...

ახლა უკვე ნათელია, როგორც მოიქცეოდა ბელა თავის დროზე ზოიას ადგილას! მაგრამ ამ მშვიდობიან დროსაც იგი — განათლების ფრონტის მამაცი ჯარისკაცი — მოკვდა ბავშვთა სიცოცხლის სადარაჯოზე.

ვლადიმერ თორდუა

# წაუკითხეთ პატარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

## კარგი მეზობელი

ერთი პატარა ყურშია
დედიკოს ეკვრის გულშია.
,,ჩემო შვილიკო ყურშია,
ყურში მითხარი თუ გშია:
თხას რძეს მოვპარავ, ცანცარას
ჯიქანი მოაცანცალა.“

,,არა, დედიკო მურია,
ნაქურდალს ნუ გამაკარებ,
მე ლიმონათი მწყურია,
რძე ციკნებს დარჩეთ, პატარებს!“

,,ეგ რა თქვი, შვილო ყურშია,
ეგ რა გაივლე გულშია?
ქურდობა რა სათქმელია?
ხომ არ ვარ წუწკი მელია?
თხა კარგი მეზობელია
და მეზობლებიც წველიან!“

## სამი დათუნა ძმების ჩხუბი

ეს სამი ძმა, სამი დათვი,
ერთმანეთს რომ გაჰკრეს თათი,
წაიჩხუბნენ, იბღლარძუნეს,
ერთმანეთი მოიძულეს.

მოძუნძულდა დედა დათვი,
დაუქნია შვილებს თათი:
შევარცხვინე თქვენი ძმობა,
თუკი გიდევთ გულში მტრობა.

რას გვემდური, დედა დათვო,
ისევ ისე ძმები ვართო.
წელან მისთვის წავიჩხუბეთ,
ერთმანეთი რომ გავართოთ.

## სტუმარი

გარეთ ქარი ქრისო,
ფისო სახლში ზისო.
კარზე რომ უკაკუნებს,
ნეტავ ვინ არისო?
ვინ იქნება, ვინაო, —
გაზაფხულის წვიმაო.

## ორი ბებია

მიხარია ძალიან,
რომ მყავს ორი ბებია.
შენ რომელი გიყვარსო? —
ხალხი ჩამცივებია.
აბა, რას მეკითხებით,
რომელი ჯობს ბებია?
ორთავ თავზე მევლება,
ორთავ შემყვარებია.

## კახუნია

ჩემო ძმაო კახუნია,
ნაბდის ქუდი გახურია.
ლოყები გაქვს კრახუნია,
მუცელი კი კვახუნია.

## ტაფა

ჩხარაჩხურობს
დიდი ტაფა:
— მეც მარგუნეთ
ცოტა ფაფა.
რათ ვარ ასე
ბედდამწვარი?
მეც მაჭამეთ
ტაფამწვარი!
— რას ჩხარუნობ ნეტავ, ტაფა
გიოს უნდა მივცე ფაფა.
შენ შავი ხარ,
ბედდამწვარი.
თეთრ ბიჭს უყვარს
ტაფამწვარი.

## მებაღე და ბაჭიები

პატარა კურდღლები
ბოსტანში მიდიან.
ბოსტანის ჭიშკარზე
ბოქლომი ჰკიდია.
,,მებაღე, მებაღე,
გვაჭამე სტაფილო,
შენთან გამოგვგზავნეს
დედილომ, მამილომ.“
მებაღემ გააღო
ბოსტანის კარები:
,,მიირთვით სტაფილო,
თქვენ გენაცვლებით.“
ჭიშკარზე ბოქლომი
უკვე არ ჰკიდია,
პატარა კურდღლები
მაძღრები მიდიან!

# ოცნება ასრულდა

დილიდანვე დაიწყეს რედაქციაში სტუმრებმა მოსვლა. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ქალთა ჟურნალის რედაქციას ეწვივნენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქალები, ისინი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ მონაწილეობდნენ სკკპ XXIII ყრილობის მუშაობაში.

ყრილობიდან ჩამოყოლილი შთაბეჭდილებანი ჯერ კიდევ ახალი იყო, და ისინი გვიამბობდნენ, თუ როგორ აპირებენ შრომას და ცხოვრებას, როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი მოვალეობანი, როგორი იქნება მათი სოფელი ან ქალაქი 5 წლის შემდეგ. ეს იყო ოცნებით წლების გადარბენა, ეს იყო ოცნება იმაზე, რაც თავიანთი ხელით უნდა შეექმნათ. ეს იყო ოცნება ყრილობაზე მოსმენილი, შემდეგ გულდასმით წაკითხული და ღრმად შესწავლილი დირექტივების საფუძველზე.

უოცნებოდ არ უცხოვრია ადამიანს. ოცნებით ის სასწაულებს ამკვიდრებდა დედამიწაზე. უოცნებოდ არ გათხრილა არხები, არ აღმართულა კაშხალები, არ გაფრენილან კოსმოსში, არ გაუშვიათ მთვარის თანამგზავრი. ადამიანი ოცნებობდა და ისე ქმნიდა. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. ოცნებაში დაიბადა პირველი ხუთწლედი. მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელებს სურდათ, რომ ჰქონოდათ მაგნიტოგორსკი და კუზნეცკი, ჰქონოდათ სამამულო მრეწველობა.

ასე შესრულდა პირველი ხუთწლედი ოთხ წელიწადსა და სამ თვეში. ვადაზე ადრე აიგო 1.500 მსხვილი სამრეწველო ობიექტი. ჩვენი ქვეყანა თუჯისა და ფოლადის წარმოების მხრივ ევროპაში პირველ, მსოფლიოში კი მეორე ადგილზე გამოვიდა. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები — საავტომობილო, სატრაქტორო, საავიაციო, ქიმიური.

მას შემდეგ 35 წელი გავიდა. წარსულმა ხუთწლედებმა დიდი გამოცდილება დაგვიტოვა. ჩვენი დღევანდელი ხუთწლედი წინამორბედთა გაგრძელებაა. იგი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს. მას ახალი, რეალური ამოცანების განხორციელება აკისრია. ეს ხუთწლედი უკვე დაიწყო და ყოველ დღე, ყოველ საათს ადამიანთა შთაგონებული ენთუზიაზმის მაგალითებს იწერს.

საქართველოში დააბიჯებს ახალი ხუთწლედი, ის ყველგან არის, ყველა ქალაქში, ყველა ქარხანაში, ყველა სოფელში, ყველა ოჯახში, სკოლაში, ხუთწლედი არის იქ, სადაც არის ადამიანი და მიაქვს მისთვის სიკეთე, სიუხვე, კეთილდღეობა.

ხუთწლედი არის თელავის რაიონში, სადაც იყრება ახალი სკოლების, საცხოვრებელი სახლების, საყოფაცხოვრებო კომბინატის საძირკვლები, დიდი მოსავლისათვის ამზადებენ ვაზს.

ხუთწლედი ეწვია ქისტაურს, სადაც ძველი მეაბრეშუმე ოსანა აივაზაშვილი ყოველწლიურად პარკის დიდ მოსავალს იღებს. ოსანა ელის, რომ ხუთწლედი მოიტანს სოფელში საბავშვო ბაღს, სავადმყოფოს.

ასკანაში ახლა კლავდია ნაცვალაძის რგოლი ჩაის ბუჩქებთან დგას და უფრო მეტ ფოთოლს კრეფს, ვიდრე ოდესმე მოუკრეფია. ესეც ახალი ხუთწლედის პირველი ნაბიჯია.

სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა თუ დღეს კეთილმოუწყობელია, ხუთწლედის ბოლოს მუშები ვერ იგრძნობენ ბინების, საბავშვო ბაღის, აბანოს უქონლობას.

1970 წელს საქართველოს მშრომელები თამამად იტყვიან:

სწრაფი ტემპით განვითარდა ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობა, რამაც უზრუნველყო მისი ეკონომიკის სპეციალიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება და განვითარება.

ჩაის ფოთლის წარმოება და დამზადება გაიზარდა 235 ათას ტონამდე, ყურძნის საერთო მოსავალმა მიაღწია 486 ათას ტონას, ხილის წარმოება გადიდდა 289 ათას ტონამდე.

ყველა რაიონსა და რაიონულ ცენტრში დამთავრდა წყალსადენების, ყველაზე მსხვილ ცენტრებში კი — კანალიზაციის მშენებლობა.

განხორციელდა საყოველთაო საშუალო სწავლება, აიგო ახალი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები.

წაიშალა არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის. ახლა სოფლის ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ნაყოფიერი შრომის შემდეგ კულტურულად დაისვენოს, აიმაღლოს ცოდნა, წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღოს უმაღლესი განათლება. სოფლის ახალგაზრდობა ქალაქს აღარ ეტანება. მას აქვს შესანიშნავი კულტურული დაწესებულებები, იგი სოფელში დამკვიდრდა, ოჯახს მოეკიდა, კულტურულად ცხოვრობს, იკმაყოფილებს სულიერ მოთხოვნილებებს. სოფლის მცხოვრებლებს ემსახურება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. სოფელში ყველანი ლამაზად, გემოვნებით ჩაცმულნი დადიან. მათ განკარგულებაშია სამრეცხაოები, საოჯახო სასადილოები, შემკეთებელი სახელოსნოები. კოლმეურნე ქალებს შეუმსუბუქდათ ოჯახში შრომა. ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ჩვენი ადამიანების ყოფაცხოვრებაში 5-დღიანმა სამუშაო კვირამ ორი გამოსასვლელი დღით...

და კიდევ ბევრს იტყვიან საბჭოთა ადამიანები 5 წლის შემდეგ.



**ლეონინა ბარაბაძე,**
**წულუკიძის რაიონის სოფელ ნახახულევის კოლმეურნეობის წევრი:**

საქართველოს წარგზავნილები ყრილობის დღეებში ძალიან დავმეგობრდით. ამიტომ ყველას გვახარებს დღევანდელი შეხვედრა თქვენთან, რედაქციაში.

როცა ყრილობაზე ვისმენდით მოხსენებებს ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და შემდგომი განვითარების გრანდიოზული პერსპექტივების შესახებ, ჩვენ, ყველანი ერთნაირად განვიცდიდით სიხარულს. განსაკუთრებით გულზე მომხვდა მოწინავე მწველავის სისოევას საუბარი. ვფიქრობ, რომ ასეთ ქალებს გვაძლევს მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილება.



**ოსანა აივაზაშვილი,**
**ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის მეაბრეშუმე:**

— ყრილობაზე ბევრი მეგობარი შევიძინე — აზერბაიჯანელი, სომეხი, ესტონელი თუ უკრაინელი. ისინი ჩემსავით საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები არიან და ყოველწლიურად ახალ ვალდებულებებზე ფიქრობენ. აი, რაც შევპირდი ჩემს ახალ მეგობრებს: თუ შარშან 85 კილოგრამი პარკის ნაცვლად 185 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩავაბარე, წელს ყრილობის დირექტივების საპასუხოდ 195 კილოგრამ პარკს მივცემ სამშობლოს-მეთქი.



**კლავდია ნაცვალაძე,**
**მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მერგოლური:**

წელს ჩვენ სტუმრად გვეწვევა ჩვენი რგოლის საპატიო წევრი, კოსმონავტი ვალენტინა ტერეშკოვა. მან მხოლოდ წერილებიდან იცის, რომ ასკანა ლამაზია. ჩვენ გვინდა ვალენტინას იგი

უფრო ლამაზი დავახვედროთ, რომ ვალენტინას ჩვენგან წასვლა გაუჭირდეს, ასკანაში მეორედ ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდეს.

ახლა რგოლის წევრები იმას ვფიქრობთ, რომ გეგმით გათვალისწინებული 29 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 50 ტონა ჩაის ფოთოლი ჩავაბაროთ სახელმწიფოს.

ასეთი საჩუქრით დავხვდებით პირველ კოსმონავტ ქალს.



**ვარვარა გრიგალაშვილი,**

**საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი:**

ვფიქრობ, რომ ჩვენ, ყრილობის დელეგატებს, უფრო მეტი გვევალება ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენი რაიონი დიდი სამრეწველო რაიონია. მან წარმატებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი და ჩვენი პარტიის დიად ფორუმს სახელოვანი მიღწევებით შეხვდა. რაიონის მშრომელებმა იციან, რა ამოცანები დგას მათ წინაშე ახალ ხუთწლედში. იმედია, ხუთწლედის ბოლოს პირველი მაისის რაიონი კიდევ უფრო დამშვენდება, ახალ ხარაჩოებს ჩამოხსნის, ზეგეგმით პროდუქციას მისცემს ქვეყანას.



**პარასკევა გუნია,**

**სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი:**

ჯერ წელიწადიც არ არის, რაც სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში მოვედი. ჩვენთან გადაჭარბებით შესრულდა ხორცისა და კვერცხის ჩაბარების კვარტალური გეგმები. ყრილობამ სოფლის მეურნეობის მუშაკებს დიდი სამუშაო დაგვაკისრა. ჩემი აზრით, ყველა საბჭოთა მეურნეობა მომგებიანი უნდა იყოს.

შვიდ მილიონამდე კვერცხი, 500 ტონამდე ხორცი, — ასეთი იქნება ჩვენი მეურნეობის მაჩვენებლები ხუთწლედის ბოლოს.



**ფატი ქარსელიშვილი,**

**თბილისის კერამიკის კომბინატის საგამომწვრო სამქროს მომჭიქურებელი:**

ჩვენი კომბინატი კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომბინატი მოწინავეა. მაგრამ მუშაობა ჯერ კიდევ ხელით წარმოებს. მექანიზაცია! — აი, რას გვპირდება ახალი ხუთწლიანი გეგმა.



**ნანული ლომინაძე,**

**ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის ბრიგადირი:**

ყრილობიდან რომ დავბრუნდი, ჩაის შერჩევითი კრეფა მალე დავიწყეთ. ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ჩემი ბრიგადის წევრებმა 5 დღეში 4 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ეს დასაწყისია. წინ შრომის დიდი დღეებია.



**მედეა ჩახავა,**

**რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი:**

ყრილობის დღეებში არაჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი. მაღელვებდა დიდი პერსპექტივები, რის შესახებაც ყრილობაზე საუბრობდნენ დაჯერებულად, სადად, გამიზნულად. ყველა ციფრის უკან მე ვხედავდი სიკეთეს, სიუხვეს, ბედნიერ ცხოვრებას. ყრილობა იმით იყო შესანიშნავი, რომ მან შეიმუშავა დიადი გეგმები ადამიანის კეთილდღეობისათვის.

ყრილობის დღეებმა ღრმა შთაბეჭდილებებით ამავსო — საინტერესო შეხვედრებმა ხელოვნების დიდ მოღვაწეებთან, ჩვენი აზრების გაზიარებამ მომცა დიდი საზრდო ჩემი შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის.



**თამარ ლაშქარაშვილი,**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი:**

ჩვენი მკითხველებისათვის ნათელია ის ამოცანები, რომლებიც ხუთწლედში განხორციელდება განათლების სისტემაში.

მე მსურს, როგორც ყრილობის დელეგატმა, გადმოგცეთ ჩემი განწყობილება, რომელიც დამეუფლა ხალხმრავალ დარბაზში, როცა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ჩვენს საუკეთესო ადამიანებს — ინტელიგენციას, მუშებს და გლეხებს ვუსმენდი. უნდა აღვნიშნო, რომ წლევანდელი ყრილობა მეტად საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, ყოველგვარი ხმაურისა და პარადულობის გარეშე. თვალნათლივ ვხედავდი, როგორ გაიზარდა ჩვენი მშრომელი ხალხი, დაბრძენდნენ ჩვენი მუშები და გლეხები.



**მედეა მეჟვრიშვილი,**

**თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:**

ხუთწლიანი გეგმით ჩვენმა რაიონმა კარგა ხანია დაიწყო ცხოვრება. ჩამობრძანდით და ნახეთ, რას აკეთებენ თელაველები.

რაიონის სოფლებში გზის ორივე მხარეს ტროტუარებს აგებენ, საძირკველი ჩაეყარა საყოფაცხოვრებო კომბინატებს. რუსთაველის დღეებისათვის დამთავრდება საბავშვო ბაღის მშენებლობა ვარდისუბანში, დაიწყო სკოლის მშენებლობა ნაფარეულში. მალე ამოიზრდება საბავშვო ბაღის შენობის კედლები რუისპირსა და აკურაში. იყალთოს უძველესი აკადემიისაკენ ახალი გზა გაჰყავთ. გათვალისწინებულია იყალთოში ახალი სკოლის შენობის აგება.

ჩამობრძანდით ჩვენს რაიონში.

პირველად კოლმეურნეთა ეზოები შემოგხვდებათ, ყვავილებით სავსე, მერე კი მათი შრომის დიდებას ნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბრუნება

მხატვარი დ. ერისთავი

ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის აპრილში პარტიზანმა პეტრომ თავის პატარა თანამებრძოლი შალვა მანქანიდან მშობლიური სოფლის მახლობლად ჩამოსვა.

— რაკი შენსას არ იშლი და მიდიხარ, წადი, — უთხრა და თვალი ისე გააყოლა, თითქოს ღვიძლ შვილს ეთხოვებაო.

— ძია პეტრო, წერილს მოგწერ, პასუხს ხომ გამომიგზავნი?

— მერედა, ჩემი მისამართი სადა გაქვს, ბიჭო?

— აი აქ, — გულისჯიბეზე მოისვა შალვამ ხელი.

— გახსოვდეს, უკან დაბრუნება თუ მოგიხდეს, სხვაგან არსად წახვიდე, ისევ ჩემთან მოდი. ვინ იცის, რა ამბავი დაგხვდება სოფელში.

— ძია პეტრო, ცუდი ხომ არაფერი გაგიგია ჩვენებზე?

— რამ შეგაშინა, ბიჭო! მე ისე, ყოველ შემთხვევისათვის გეუბნები. მაშ, მიდიხარ, არა!..

— ძია პეტრო, თქვენთან ყოფნას რა მირჩევნია, მაგრამ რა ვუყო, გადიაც ცოდოა.

შალვა სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგა.

„მამა ჯერ არ იქნება დაბრუნებული. გადია? ის ისეთი ქალია, ფეხსაც არ გადაადგამდა არსად. ალბათ, ზის ახლა ეზოში და გაჰყურებს გზას.

ჰმ! ძია საშკასთვის რომ უთქვამს: იმ დღიდან, რაც შალვა წავიდა, ლუკმა გაუგემურდა, ცხრათვალა მზეც გახუნებული მეჩვენება და ჩვენი ეზოს ქორფა ყვავილებიც დამჭკნარი და უფერულიო.

საწყალი გადია, ჭირის დღესავით სძაგს ყველაფერი გახუნებული და დამჭკნარი.

მამა დაუხვდებოდეს ახლა შინ!.. არა, მამა ისევ ფრონტზეა, მტერს კლავს, კაცს ესვრის, კაცს კი არა, ფაშისტს ესვრის. ფაშისტი კაცი არც არის, თუმცა პეტრო ამბობდა იმ დღეს: ყველა გერმანელი ჯარისკაცი ფაშისტი არ არის და არც ჩვენი მტერიაო. ბევრ გერმანელს გულით არ უნდა ჩვენთან ომი, მაგრამ ძალისძალად აომებენო. ახლა გაიგე შენ, ვის რა უნდა! საქმე ის არის, შენ თუ არ დაასწარი, თვითონ მოგკლავს და სამშობლოსაც წაგართმევს.

რატომღაც მაშინ ის გერმანელი ჯარისკაცი ძალიან შეებრალა, როგორ ებღაუჭებოდა მიწას და რა უცნაურად აკვირდებოდა შალვას. ალბათ, იმ საცოდავს სიკვდილის წუთებში თავისი შვილი მოაგონდა, შალვას ტოლი ბიჭი, რომელიც ახლა მოუთმენლად ელის მამას. ალბათ, იმასაც ჰგონია, მამა შინ გამარჯვებული დაბრუნდებაო. თუ მართლა ასე ჰგონია, დამთხვეული და დიდი სულელი ყოფილა. არა, სიმართლეს თუ ვიტყვით, ის ბიჭი ცოდოა, ძალიან ცოდო.

რამდენი რამე გამოიგონეს ჭკვიანმა ადამიანებმა, მაგრამ მათ შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ომის საწინააღმდეგო მანქანა რომ გამოეგონოს. ახლა, როგორც კი მივა შალვა შინ, ამის შესახებ მოელაპარაკება ბიჭებს, ნათელა ხომ ამბობდა, შალვასა და გრიშასაგან შეიძლება დიდი ფიზიკოსებიც და დიდი ქიმიკოსებიც გამოვიდნენო, აბა ერთი ვნახოთ, რა ბიჭებიც არიან!.. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, მართლა გამოიგონა შალვამ ომის საწინაღმდეგო რაღაც დიდი, უზარმაზარი მანქანა. არა, მარტო შალვა რას გააწყობს, გრიშკა, ნათელა, სერიოჟა და ტოლიაც თუ არ დაეხმარებიან? მაგრამ ეს ფუჭი ოცნებაა. მერე რა, ოცნება იყოს, ოცნებაც კარგია. სხვა რომ არა იყოს რა, ართობს და მანძილს უმოკლებს მგზავრს. თუმცა ვინ მოსთვლის, რამდენი ოცნება ქცეულა სინამდვილედ.

ძალიან სურს იცოდეს, სად არიან ახლა მისი თანაკლასელები: ნათელა, გრიშკა, სერიოჟა, ტოლია, ვალოდია. სოფელში დარჩნენ თუ ისინიც პარტიზანები გახდნენ. ნეტა, დაუხვდებოდნენ შინ! უჰ! რამდენი სათქმელი აქვს ახლა მათთვის".

მანძილი რომ შეემოკლებინა, შალვამ ფართო შარა გადაჭრა და საცალფეხო ბილიკს დაადგა.

ჩქარა მიდიოდა, თითქმის სირბილით. თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა.

მოათავა საცალფეხო ბილიკი, აიარა აღმართი და თავქვე დაეშვა. ჩქარა ტყესაც გაივლის და სოფელში შევა, მაგრამ სად არის ტყე? ტყე არსად ჩანდა!..

— სადა ვარ, სად მოვხვდი! — ამოილუღლუღა გაოგნებულმა და ირგვლივ მიმოიხედა.

ვერც სანატორიუმის სამსართულიანი მწვანე შენობა და ვერც საბავშვო სახლი ვერ დაინახა, ტყის განაპირას რომ ეგულებოდა. „იქნებ, მართლა გზა ამერია და სხვაგან მოვხვდი?" — გაიფიქრა და მარჯვნივ, გორაკისაკენ იბრუნა პირი. გორაკზე ისევ ისე იდგა ტაძარი, მაგრამ კედლებშელეწილი და უგუმბათო, ახლა მას ტაძარიც აღარ ეთქმოდა.

აღარც სანატორიუმი იყო და აღარც საბავშვო სახლი. იყო მხოლოდ ნანგრევები და გადამწვარი ტყე.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო და ამ სიჩუმეში რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა შალვას; ეს არც შიში იყო, არც სასოწარკვეთილება და ჩვეულებრივი დარდი, არამედ ჩუმი სევდა, ყველა ახლობელისა და თავისიანის დამკარგავს რომ დაეუფლება ხოლმე.

პარტიზანებთან იბრძოდა ბიჭი, ძია პეტრო მას ქართველ ვაჟკაცს ეძახდა. იგორმა კი ისეთი აზრი გამოთქვა შალვაზე, რომ ბევრ მის ტოლ-ამხანაგს შეშურდებოდა: ჯერ პირზე რძე არ შეშრობია და ასე გვშველის, რომ გაიზრდება, ჩვენი შალვა-ბიჭი, ალბათ, მარტო გაუმკლავდება მტრის მთელ არმიასო!

ყველა საბრძოლო დავალებას ზუსტად და დროზე ასრულებდა. ერთ-ერთი დავალების შესრულებისას მტრის ტყვიამ მარცხენა ხელის მტევანი წააწყვიტა.

„რა უშნო შესახედავია! — ხელზე დაიხედა შალვამ, — მოხარშულ კიბოს არა ჰგავს? არა, კიბოს კი არა ბაყაყს. მერე რა ვუყოთ, ისიც ხომ შეიძლებოდა, მასაც პაპა ვასოსავით დასახიჩრებოდა სახე?"

და ბიჭს თანასოფლელი მოხუცის მოგონებაზე გააჟრჟოლა.

...შალვა თბილისში დაიბადა. ერთი წლის რომ გახდა, დედა გარდაეცვალა. მამამ, რომელიც წითელ არმიაში მსახურობდა, ბავშვი ლენინგრადის მახლობლად პატარა სოფელში წაიყვანა.

სამამულო ომის დაწყებამდე მამა-შვილი რუს გადიასთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა ერთსართულიან სახლში. იმავე სოფელში სამოქალაქო ომის მონაწილე მოხუცი ცხოვრობდა. ბავშვები მას პაპა ვასოს ეძახდნენ. მოხუცი მარტოხელა იყო, გულჩათხრობილი, სიტყვაძვირი. გული კეთილი ჰქონდა, თვალები ჭკვიანი და ალერსიანი, მხოლოდ უსწორმასწოროდ შეხორცებული ნაიარევი, გვალვისაგან დამსკდარ ნაღვარევივით რომ აჩნდა ფართო სახეზე, მეტად მკაცრ, რაღაც შიშისმომგვრელ იერს აძლევდა.

პაპა ვასო კოლმეურნე იყო, საუკეთესო მებოსტნე. მისი ბოსტანი შალვას ეზოს ესაზღვრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს, ხუთი წლის შალვამ ბოსტანში შეიჭვრიტა და ღობის ძირას ყვავილიდან ახალგამოსული კიტრები დაინახა. ერთ ხანს შორიდან უცქირა, მერე ღობეში შეყო ხელი და ის იყო ერთო თავისკენ უნდა დაეთრია, რომ მუქარის ხმა შემოესმა:

— რას ჩადიხარ? მოსცილდი ღობეს, თორემ ყურებს დაგაჭრი და ხელში დაგაჭერინებ!

შალვამ ხელი უშვა „ნადავლს" და შიშისაგან გაფართოებული თვალები უცნობის დასახიჩრებულ სახეს მიაპყრო.

— აი, შე შავტუხა მახრავ, შენა, როგორ არა გრცხვენია, მამაშენის შვილს, ქართველ ბიჭუნას, ჰა! იცი რას გიზამ, გუდაში ჩაგსვამ და ყვავს გავატან შენს თავს!

შალვამ დამუშტული ხელები ასწია, თითქოს თავის დაცვას აპირებსო და ტირილი მორთო.

იმ დღიდან შალვამ შეიძულა პაპა ვასო.

ბევრი ეცადა მოხუცი ბავშვის გულის მოგებას მაგრამ შალვა თვალს მოჰკრავდა თუ არა, შეტრიალდებოდა და მოკურცხლავდა.

დაიწყო სამამულო ომი. შალვას მამამ ბრძოლის ველს მიაშურა. ორი წლის შემდეგ კი შალვა გადიას გაეპარა და პარტიზანთა რიგებს შეუერთდა...

სოფელში დაბრუნებულმა, რამდენიმე კილომეტრი ისე გაიარა, ნისლში გახვეული ნასახლარებისა და ნანგრევების მეტი არაფერი დაუნახავს. არც არაფერი გაუგონია. თუმცა არა, მკაფიოდ ესმოდა საკუთარი ფეხის ხმა და გულის ბაგაბუგი.

ძლივს მიაგნო თავის კარმიდამოს. თუმცა ან კარმიდამო სადღა იყო! ერთადერთი რკინის სკამლოგინი გადარჩენილიყო მხოლოდ.

სკამლოგინი ისევ იქ იდგა, სადაც დასტოვა. წასვლის დღეს შალვა ამ სკამლოგინზე იჯდა და მოუთმენლად ელოდა ტოლებს, რომლებიც მასთან ერთად უნდა გასულიყვნენ სოფლიდან.

იმ დღეს სწორედ აქედან დაინახა შალვამ გადია, რომელმაც სატვირთო მანქანიდან რამდენიმე ცალი კარტოფილი აიღო და წინსაფრის ჯიბეებში ჩაიტენა.

კარტოფილით დატვირთული მანქანა ძია ალექსიმ შალვას ჩააბარა: ცოტა ხნით თქვენს ჭიშკართან დავტოვებ, თვალი გეჭიროს, ჩქარა დავბრუნდები და წავიყვანო.

„მობარებული მგელმაც შეინახაო", ეს ანდაზა გადიასაგან გაუგონია შალვას. ახლა კი მობარებულს თვითონ გადიამ მოაკლო. ბევრი არა, სულ ცოტა, მაგრამ ცოტაც არ უნდა მოეკლო! ძალიან გააკვირვა მაშინ გადიას საქციელმა. მოიპარა აშკარად, თვალსა და ხელშუა. კიცხავდა, საყვედურებით ავსებდა თავის გულში გამზრდელს. ერთ წუთს ისიც გაიფიქრა, მივვარდები და ჯიბეებიდან ამოვყრი ნაპარავსო, მაგრამ მოკრა თუ არა თვალი მოხუცის შემცბარ, შეწუხებულ სახეს, ბრაზმაც გაუარა და თითქოს შეებრალა კიდეც.

ამის მოგონებაზე ახლა შალვას გული შეეკუმშა.

ეჰ, ნეტავი კი გადიას ნახვას ეღირსებოდეს და არასოდეს გაუხსენებს იმ რაღაც ორიოდე კარტოფილის ამბავს.

იქნებ სულაც შალვასათვის მოიპარა გადიამ ის კარტოფილი? შეწვა, შებრაწა, მწვანე ზოლებიან ლამბაქზე დააწყო. მაგრამ სადღა იყო შალვა!



ნათელა და ტოლია სამი დღის შემდეგ შეატყობინებდნენ გადიას, სად იმყოფებოდა მისი შვილობილი, მაგრამ სამ დღეს გაძლება არ უნდოდა? ვინ იცის, როგორ გამწარდა. შალვას კერძიც, ალბათ, ისე დაობდა, გადიას ზედაც არ შეუხედნია.

მისი ხათრით ისწავლა გადიამ გიტარაზე დაკვრა და ქართული სიმღერა „სალამური". რა ტკბილად უკრავდა და მღეროდა!

აი, მოვიდა შალვა, დაბრუნდა შინ და რა დაუხვდა — არც გადია და აღარც სახლკარი!

სად არის, სად, მისი საწყალობელი, მისი კარგი გადია?! სული შეეხუთა, ბოღმა მოაწვა ყელში, საცაა ბოღმა დააღრჩობს. მაგრამ, ჩუ! მოესმა ადამიანის ფეხის ხმა, მძიმე, დინჯი ნაბიჯების ხმა. ვიღაც აქეთ მოდის, შალვასკენ მოიწევს. იქნებ გადიაა?! გაიგო შალვას დაბრუნება და მისკენ გამოეშურა. არა, ეს გადიას ფეხის ხმას არა ჰგავს. მაშ, ვინ უნდა იყოს? აი, გამოჩნდა კიდეც ვიღაც მაღალი, პირდაპირ შალვასკენ მოეშურება.

— ვინა ხარ, მტერი თუ მოყვარე? — ეკითხება შალვას და ბიჭს ჰგონია, რომ კაცის ხმა კი არ არის, ეჩვენება.

— ვინა ხარ, არ იტყვი?! — კვლავ გამეორდა კითხვა.

— პაპა ვასო! — ადგილიდან მოწყდა შალვა და შურდულივით გაქანდა მოხუცისაკენ. უნდოდა კისერზე ჩამოკიდებოდა, მაგრამ დასახიჩრებულ ხელზე დაიხედა, მეორე ხელი მოხვია წელზე, გულში მაგრად ჩაეკრა.

— აჰა, ეს შენა ხარ, ჩემი მომდურავი, შავტუხა ბიჭი! როგორ გაზრდილხარ, ვეღარ გიცანი,— ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილაპარაკა მოხუცმა და ბიჭის გრუზა თმას შუბლით მიუალერსა.

— პაპა ვასო, სად არიან ჩვენები? სად არის ხალხი, ჩვენი სოფელი?!

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ჩემო კარგო! მალე მოვლენ ჩვენები და ისევ აღსდგება ჩვენი სოფელი. ომი სულ მალე დამთავრდება.

— მამაზე რა იცით? გადია სად არის?

— მამაშენზე არაფერი მსმენია, ალბათ, ჩქარა დაგიბრუნდება. შენი გადია კი...

— აღარ არის?—მწარედ ატირდა ბიჭი.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ჩემო შავტუხა ბიჭო! მარტო არა ხარ, სანამ სული მიდგას, არას გაგიჭირვებ.

— გადია, ჩემი საცოდავი გადია! — ქვითინებდა შალვა და მოხუცს გულში ისე ეკვროდა, თითქოს იქ ეძებს თავისი სოფლისა და გადიას სანაცვლოსო.

მარგარიტა ჯეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ვეფხისტყაოსანი" და ქართველი ქალი

ქალის როლი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მუდამ თვალსაჩინო იყო. ამას ყველა აღიარებდა. ცნობილია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ქალმა — საქართველოს განმანათლებელმა ნინომ შემოიტანა. მას მერე, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ქართველ ქალს ეუბნებოდნენ: „ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ქუვისასა, რომელი იზახის ყოველსავე ზედა ოთხფეხსა, ვინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა, უფროის მამლისა".[1] მომდევნო ეპოქამ ქალის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო გაზარდა. რუსთაველის ხანის მწერლობამ საქართველო ქალის — ღვთისმშობლის „წილხვდომილად" გამოაცხადა, საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანეს ქალი—თამარი, მეფეთმეფე უბრწყინვალესი, ფეოდალთა დამმორჩილებელი, მეომარი და ბრძენი. ამ ეპოქის ისტორიკოსმა მატიანეში რამდენიმე სხვა სახელმწიფო მოღვაწე ქალიც შეიყვანა, მათ შორის ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი, რომლებსაც შევხვდებით თამარის ეპოქაზე დაწერილ ყველა ნაწარმოებში, იმდენად დამახასიათებელი იყვნენ ისინი თავისი დროისათვის.

მეთორმეტე საუკუნეში ქართველ წარჩინებულ ოჯახისშვილთა განსწავლულობა, სულ ერთია — ქალი იქნებოდა ის თუ ვაჟი, ჩვეულებრივი ამბავი იყო. გენიოსი რუსთაველი ორგანულად აღმოცენდა მისი ეპოქის ქართული კულტურის წიაღში.

მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა ურდოების შემოსევამ პოლიტიკურად დარღვეული და ეკონომიურად დაქვეითებული საქართველოს კულტურაც საფრთხის წინაშე დააყენა. ამ მძიმე ჟამს სისტემატურ განათლებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. სწორედ ამ დროს ითავეს ქართველმა ქალებმა სწავლა-განათლების რთული საქმე. უამრავი ქართველი ქალი ჩუმად და შეუმჩნევლად, მაგრამ დაჟინებით და შეუპოვრად აკეთებდა უდიდეს ეროვნულ საქმეს, იცავდა ქართულ ენას, მის კანონებსა და სიწმინდეს. ქართველი დედა ასწავლიდა თავის შვილს მშობლიურ ენას და ამ გზით უნერგავდა მომავალ თაობას სამშობლოს შეგნებულ სიყვარულს. ამის შესახებ აკადემიკოსი ს. ჯანაშია წერს:

„...ქართული კულტურის დაცვის მოვალეობა ქართველმა ქალმა ბევრ ადგილას და ბევრ ხიფათის დროს იკისრა. იქ, სადაც დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენის წყალობით ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველ[illegible]ბის გრძნობაც კი, ეროვნულ თვითშეგნებას, ქართულ ენას მწიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები".

ესენი იყვნენ სილამაზით განთქმული ქართველი ქალები, რომლებმაც ამ დროს ცხენოსნობაც იცოდნენ, სანადიროდ მიმინო დაჰყავდათ ხელით, მშვილდ-ისარი და კაპარჭი დაჰქონდათ, იყვნენ „მახვილი გონებისა და თავაზიანნი", „ცოდნა-ხელოვნების მოყვარულნი", როგორც ამბობდა ვახუშტი ბატონიშვილი. ქართველ ქალთა განსწავლულობა იმდენად აშკარა და ნათელი იყო, რომ XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსულ კათოლიკე-მისიონერებსაც არ გამორჩენიათ ეს და აღუნიშნავთ. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც ოცი წელი გაატარა სამეგრელოში, წერს: „...ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, ქალებს რომ არ შეენახათ იგი ისე, რომ თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად".

XVII—XVIII საუკუნეებში მხოლოდ ქალები ითვლებოდნენ წერა-კითხვის მცოდნეებად. მაგრამ ცოდნის გავრცელებისათვის წიგნების რაოდენობის გაზრდა და მათი გადაწერა იყო აუცილებელი. ამასაც უმეტეს შემთხვევაში ქალები აკეთებდნენ. ქართველ გადამწერ ქალთა შორის ძველთაგან ცნობილი იყვნენ ვახტანგ გორგასალის დედა საგდუხტი, სალომე უჯარმელი, პეროჟავრი სივნიელი, დედოფალი მარიამი და ბევრი სხვა. ს. ჯანაშიას ცნობით, აჭარისა და ოსმალეთის მაჰმადიან ქართველებში უკანასკნელ დრომდე დაცული ქართული მწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო „დედაბრული ხელის" სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ. ხელნაწერის სახით მრავლდებოდა მაშინ საეკლესიო და საერო ნაწარმოები, მათ შორის უპირველესად ჩვენი ერის სიამაყე „ვეფხისტყაოსანი".

მწიგნობარ ქალთა უმრავლესობა სამეფო და დიდებულთა ოჯახებს ეკუთვნოდნენ. იყვნენ შედარებით უფრო დაბალი წრიდანაც, მაგალითად, კავთისხეველი აზნაურის ქვლივიძის მეუღლე ნინო, რომელიც, პლატონ იოსელიანის სიტყვით, იყო „დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუითა". იგი გულადი ცხენოსანიც ყოფილა. ამ ქვლივიძის ქალისთვის მიუბარებიათ „განსასწავლებლად" გიორგი XIII-ის დანიშნული, ჩერქეზთ ბატონის გირეი ოძის ქალი. მწიგნობარი და გმირი ქალი იყო მეფე ერეკლეს რძალი ქეთევან ანდრონიკაშვილიც, რომელმაც 300 ქართველი მეომრით 500 ლეკს სძლია 1778 წელს.

ერეკლე მეორის კარზე მრავალი მწიგნობარი, პოეტი და შემოქმედი იყო. მათ შორის იმ დროის შესაფერისად განათლებული ქალებიც. ერთ-ერთ მათგანზე— თეკლე ბატონიშვილზე — ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „სწავლა ისე ჰქონდა მიღებული, როგორათაც იმ დროს ქართველ ქალებს ასწავლიდნენ და სწურთვნიდნენ... ქართული წერა-კითხვა, მშვენივრად ლაპარაკი, მწიგნობრობა და სუყველა ის კრძალულება და სათნოებითი მხარეები, რასაც იმ დროს ასწავლიდნენ ქართველ ქალებს."

დიდად განათლებულნი იყვნენ სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის ქალიშვილები: ეკატერინე (ცნობილი პოეტის და „ვეფხისტყაოსნის" განთქმული მკითხველის მამია გურიელის დედა), კესარია და ალექსანდრა. ბოროზდინის ცნობით: „იმდროინდელი სამეგრელოს მოწინავე წრეები თავისუფალ დროს ანდომებდნენ საღვთო წერილის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის", ჩახრუხაძისა და სხვა მოშაირეთა ლექსების, არისტოტელესა და პლატონის თარგმანების კითხვას. ქალები განსაკუთრებით კარგი მწიგნობრები იყვნენ".

ამგვარ ქალთა წყალობით განათლება შინაური ქართული მწიგნობრული აღზრდის გზით შემო-

---

[1] კ. კეკელიძე — „ძველი ქართული მწერლობის ისტორია". ტ. II, სახელგამი, თბილისი, 1950. გვ. 181.



ირემზე ნადირობა

რეზო ბაქრაძე, 13 წლის (ქ. თბილისი).

ლევან ჯორჯაძე, 9 წლის (ქ. თბილისი).

ხოკეისტები



ეროვნული ბიბლიოთეკა



სახლები — ნანული იხოშვილი, 14 წლის (ქ.

ქალიშვილი — თამრიკო იზრაელაშვილი, 9 წლ



ბაკურიანში — გია მენაბდე, 8 წლის (ქ. თბილისი).





ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი).



გემი

ლევან ჩოლოყაშვილი, 8 წლის (ქ. თბილისი)



ნატურმორტი

ლევან ჯოხაძე, 8 წლის (ქ. თბილისი).



ცეკვა

ლევან ჯოხაძე, 8 წლის (ქ. თბილისი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუკრია





თბილისელი ქალიშვილები

სოფიკო ცაბაძე. 8 წლის (ქ თბილისი)

სამი ნახატი

დედოფალი



# როცა ამ ქალაქზე გვიამბობენ



მერე რა ვუყოთ, რომ წლებს ყველაფერი მიაქვს, კარგიც და ცუდიც, სიხარულიც და მწუხარებაც. მერე რა, რომ მას შემდეგ უთვალავმა წუთმა და საათმა ჩაიქროლა! ის შორეული დღეები მისთვის მაინც ყველაზე ახლობელია, მუდამ მასთან არის და, ასე გონია, თითქოს გუშინ იყო...

თითქოს გუშინ იყო, მხარს უკან რომ მძიმე ნაწნავები გადაიყარა, მერე მოწყდა ადგილიდან და საოცარი სისწრაფით დაფარა 500 მეტრი. ხალხის ტაშის გრიალმა აუწყა გამარჯვება. უხაროდა, რომ ასე ისახელა თავი მოსკოვში, საკავშირო სპარტაკიადაზე. მაგრამ კიდევ სხვა სიხარულზე ოცნებობდა, რომელსაც დიდი ხანი ატარებდა საიდუმლოდ გულში. უნდოდა ცაში აჭრილიყო, ენახა არამიწიერი სილამაზე, მიწვდომოდა მთვარეს, ვარსკვლავებს...

ჯერ დედას გაუტყდა, მერე მამას. ორივენი წინ აღუდგნენ მის გადაწყვეტილებას. თითქოს დამორჩილდა ბედს, მამასთან ერთად გაემგზავრა ქალაქ კრასნოდარში და სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები. დამშვიდებული მამა უკან გამოისტუმრა და საავიაციო სკოლის მისამართი მოძებნა.

იმ დღიდან დაიწყო ნადეჟდა ჯახუას საინტერესო, მაგრამ ძალზე დაძაბული ცხოვრების დღეები.

დილით სამედიცინო ინსტიტუტში ისმენდა ლექციებს ქალიშვილი, საღამოს — საავიაციო სკოლაში. მერე აეროდრომზე გარბოდა და თვითმფრინავს ჩაკირკიტებდა.

იმ დღეს აეროდრომზე ტევა არ იყო. საავიაციო სკოლიდან მოვიდნენ მფრინავები. აეროკლუბიდანაც თითქმის ყველა მოვიდა. ყურადღების ცენტრში იყო ნადეჟდა ჯახუა. ღელავდა ყველა. ნადეჟდას საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. იგი დინჯად მივიდა თვითმფრინავ უტ-2-თან, ტყავის სავარძელში მოიკალათა და მტკიცედ ჩაავლო შტურვალს ხელი.

— მოემზადე სტარტისათვის! — გაისმა ბრძანება.

ცის ლაჟვარდი გაჰკვეთა რკინის ფრინველმა. 19 წლის გოგონა გრძნობდა უძლეველ ძალას. ეს ახალი სამყარო იყო, ძალიან ლამაზი და შეუცნობელი... ნადეჟდას ხუთიანებს კიდევ ერთი ხუთიანი მიემატა. იგი კრასნოდარის აეროკლუბში მფრინავ-ინსტრუქტორად დანიშნეს. ესეც არ აკმაყოფილებდა ქალიშვილს, იგი ოცნებობდა დაემთავრებინა საავიაციო აკადემია, ემართა სამგზავრო თვითმფრინავის საჭე, ევლო ცის კიდიდან კიდემდე...

ომმა დაუმსხვრია ოცნება. ომმა ცეცხლის ალში გახვია მისი ქვეყანა. ახლა გამანადგურებლის საჭეს მართავდა ქალიშვილი.

ერთხელ ცეცხლის ხაზიდან დაბრუნებულ ნადეჟდას ქუთუთოები დაუმძიმდა, ძილისთვის რომ თავი წაერთმია, კარავიდან გამოვიდა. მთვარის მკრთალ შუქზე მოჩანდა ნანგრევებად ქცეული ქალაქი როსტოვი. ნადეჟდას გააჟრჟოლა.

ერთბაშად განგაში ატყდა. ნადეჟდამ აიხედა. მაღლა, სულ მაღლა, ჯერ მტრის ერთი თვითმფრინავი გამოჩნდა, მერე თვითმფრინავების მთელი გუნდი და ჰაერი მოტორების გუგუნმა დაფარა. მათ შესაგებებლად პირველად მფრინავი ევტუშენკო აიჭრა. მერე ნადეჟდა მიჰყვა მას. მტერს ზემოდან მოექცნენ, გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. საზენიტო ქვემეხებმა ცეცხლის ღობე აღმართეს. ფაშისტებმა მაინც მოახერხეს გაერღვიათ რკალი. ნადეჟდა ერთ-ერთ მათგანს დაედევნა, ტყვიების რკალში მოამწყვდია, მაგრამ მტრის ტყვიამ მისი თვითმფრინავის მოტორიც დააზიანა, ქალიშვილმა ტყვიებით დაცხრილული პარაშუტით მოახერხა ძირს დაშვება. მერე, ნადეჟდა თემრუკში,



ნ. ჯახუა დედასთან ერთად

ქერჩსა და ნევინომინსკში ესხმოდა თავს მტერს. როცა ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს, დივიზიის უფროსმა იგი რუსთავში გამოამწესა.

ეშელონი სოხუმის სადგურში ჩამოდგა, ნადეჟდას გული აუძგერდა — ძალზე მოუნდა დედის ნახვა. მატარებლიდან სწრაფად ჩამოვიდა. გარბოდა მის საყვარელ ქუჩებში, ისევ ისეთივე ლამაზი იყო მისი სოხუმი, ისევ ისე ჰყვაოდნენ ვარდები, ზღვაც ისეთივე წყნარი იყო, მაგრამ სადღა იყო ის ხალისიანი სოხუმი, უცბად სიხარულს რომ შემოგაფრქვევდა, სადღა იყო ის ხმაურიანი, უდარდელად მოკისკისე ქალიშვილებით და ვაჟებით სავსე ქალაქი!

რა ხანია, არ უნახავს თავისი ქალაქი, რა ხანია, არ უნახავს დედა, ერთადერთი ძმა ვალიკო. ალბათ, დიდი იქნება ახლა და გამოცვლილი. „ალბათ, მეც გამოვიცვალე“, — ფიქრობდა იგი. ამ ფიქრებში მიადგა სახლს. სახლის კარი დარაზული დახვდა. ეზოსაც ეტყობოდა, დიდი ხნის მიტოვებული რომ იყო.

მეზობლებმა ვერაფერი უთხრეს სანუგეშო:

— როგორც კი ომი გამოცხადდა, დედა იმ დღესვე წავიდა მოხალისედ, დედის კვალს მერე ვალიკოც გაჰყვაო.

გულდამძიმებული ნადეჟდა მაშინვე გაუდგა გზას რუსთავისაკენ. რუსთავში იგი ახალგაზრდა მფრინავებს ამზადებდა და თან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძობდა სწავლას. ეს იყო 1943 წელს. იმავე წელს დაამთავრა ინსტიტუტი. ისევ ფრონტისაკენ გაიწია, მაგრამ სამხედრო კომისარიატში უარი უთხრეს. ჯერ ქუთაისის ჰოსპიტალში გაგზავნეს ქირურგად, მერე სოხუმში. აქ უშუშებდა იგი დაჭრილებს წყლულებს, აქ იბრძოდა მათი სიცოცხლისათვის...

1945 წლიდან სოხუმის მეორე საავადმყოფოს ქირურგი იყო.

1949 წელს აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

1950 წელს პარტიის საოლქო კომიტეტის მესამე მდივნად აირჩიეს.

1952 წელს აფხაზეთის ასსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

1961 წელს იგი ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს...

გათენებისას, როცა ელნათურები უფერულდებიან და ქრებიან, ცისფერი „ვოლგა“ ქუჩაში გამოიჭრება, მიჰქრის მანქანა, კეცავს გზას. მის გამოჩენას შემხვედრნი ღიმილით ეგებებიან და ამბობენ:

— ვაჟკაცია!

— პროფესიული მძღოლივით მართავს მანქანას!

— კარგი ორგანიზატორია!

— შესანიშნავი ცოლია და დედა!

— თავდადებული მეგობარია!

ასეთს იცნობენ ნადეჟდას სოხუმელები. ასეთს იცნობენ მას ტყვარჩელელი მუშა-მოსამსახურეები. განუწყვეტლივ მოდიან მასთან მშრომელები, განუწყვეტლივ იღება მისი სამუშაო ოთახის კარი.

შემოდის მძიმე ძაძებიანი ქალი, ჯდება ნადეჟდას წინ და ცრემლნარევი ხმით უამბობს:

— რაც მეუღლე გარდამეცვალა, მას შემდეგ გზას აცდა ჩემი შვილი, არც მუშაობა უნდა, არც სწავლა. იქნებ, დამეხმაროთ, იქნებ, თქვენ იმოქმედოთ და სამუშაოზე მომიწყოთ.

ნადეჟდა ამშვიდებს გამწარებულ დედას, პირდება, ყველაფერს გავაკეთებ, ახალგაზრდა რომ არ დაიღუპოსო. დედას სჯერა ნადეჟდასი, ნადეჟდასი იმ ქალსაც სჯერა, რომელიც ახლახან ქვითინებდა მის კაბინეტში და ყვებოდა: — ჩემმა მეუღლემ საყვარელი გაიჩინა, ხშირად მოდის მთვრალი, ჩხუბობს, იძულებულს მხდის, ბავშვებით ღამე ქუჩაში გავათიოო. ამ ქალს სწამს, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უსათუოდ მოაგვარებს მის ოჯახურ საკითხს.

როცა საჭიროა, ნადეჟდა ყოველთვის მიდის ოჯახებში, ძალას არ ზოგავს იმისათვის, რომ ყველა ბედნიერი იყოს...

ის შახტების ხშირი სტუმარია. ბრეზენტის უხეშ ტანსაცმელს იცვამს, რეზინის მძიმე ჩექმებს მოირგებს და მიაბიჯებს ფიცარნაგებზე, მერე ჩერდება სანგრევებში მომუშავე ადამიანებთან, რომელთაც თავიანთი დაკოჟრებული ხელებით ათიათასობით კუბმეტრი შავი ოქრო ამოაქვთ მიწის წიაღიდან და თავიც ისეთი ძლიერი ჰგონია, როგორიც ისინი არიან.



შახტში. მარცხნიდან ინჟინერი ლ. ჭეირანაშვილი, № 2 შახტის უფროსი კ. კიზირია, ნ. ჯახუა და ინჟინერი ც. გიორგაია.

...ბაგირებზე რიტმულად მოძრაობენ ქვანახშირით დატვირთული ვაგონეტები. მერე დილით ადრე მოაკივლებს ორთქლმავალი და რიგში დგებიან ვაგონები. 7 მოქმედი შახტია ტყვარჩელში, ახლა ხოჯალში შენდება მერვე შახტი, რომელიც 1966 წლის მეოთხე კვარტალში უნდა ამუშავდეს. საიდან არ მოდიან აქ მუშები. „მუშებს კი საბინაო პირობების გაუმჯობესება სჭირდებათ“, — ფიქრობს ნადეჟდა. გასულ წელს 8 ოთხსართულიანი სახლი აშენდა. შენდება ახალი კეთილმოწყობილი პოლიკლინიკა. გამწვანდა და აყვავდა ქალაქი. ყოველწლიურად ათასობით ხეხილისა და ვარდის ნერგები შემოაქვთ გულრიფშიდან, ინგირიდან...

ვისაც დიდი ხანია არ უნახავს ქალაქი ტყვარჩელი, ახლა ძნელია მისი ცნობა. ტყვარჩელი ახალგაზრდა ქალაქია. სულ ორი ათეული წლის წინათ აქ პიტალო კლდეები იყო და მწყემსების კარავი, მერე ჭკვიანმა ადამიანებმა გააპეს მთის გული, გაიყვანეს გზა და გაშენდა ლამაზი ქალაქი.

როცა გავა წლები, როცა ამ ქალაქზე გვიამბობენ და განვლილ გზას გახედავენ, ალბათ, ნადეჟდა ჯახუაზეც ბევრს იტყვიან.

* * *

მერე რა ვუყოთ, რომ წლებს ყველაფერი მიაქვს, კარგიც და ცუდიც, სიხარულიც და მწუხარებაც. მერე რა, რომ მას შემდეგ უთვალავმა წუთმა და საათმა ჩაიქროლა. ის შორეული დღეები მისთვის მაინც ყველაზე ახლობელია, მუდამ მასთან არის და ასე გონია, თითქოს ეს იყო გუშინ...

ოლია რევია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლადო მრელაშვილი

# კოკოს თავგადასავალი

მოთხრობა

მხატვარი მარიკა დაუშვილი

მე შენ გნახე, თინიკო, რამხელა წივილ-კივილი ატეხე, როდესაც შენმა საყვარელმა დედიკომ გაურეცხავი ყურძენი არ გაჭამა. მან გითხრა, მტირალა გოგონები ცუდი გოგონები არიან, გაურეცხავი ხილი ავად გაგხდისო. მაგრამ შენ არ დაუჯერე, და მაინც ტიროდი.

მე შენ გნახე, თინიკო, როდესაც შენი დედიკო მაღაზიაში წავიდა და დაგიბარა, ქუჩაში არ გახვიდეო. ქუჩაში, სადაც უთვალავი მანქანები აქეთ-იქით დიდი სიჩქარით დარბიან. შენ არ დაუჯერე, გამოხვედი გარეთ და კინაღამ ავტომობილი დაგეჯახა.

მე შენ გნახე, თინიკო, როდესაც ტროლეიბუსში აყავდი დედას. შენ გაჯიუტდი, უარყავი დედის დახმარება, თვითონ მოინდომე ასვლა. დედამ არ გაგიშვა, რადგან მარტო ასვლას ვერ შეძლებდი. მაშინ ძირს წაიქეცი და ღრიალით ატეხე ხელ-ფეხის სხმარტალი. ტროლეიბუსის წამყვანმა ვერ შეგამჩნია დროზე. კინაღამ ვეებერთელა რეზინის თვლები შეგაყენა ზედ.

შენ ხშირად არ უგონებ დედას.

და მე მოგიყვები ნამდვილ ამბავს, თუ რა დაემართა პატარა მაიმუნ კოკოს, რომელმაც თავის საყვარელ დედიკოს არ დაუჯერა:

შორეულ ქვეყანაში, თვალუწვდენელ ზღვებსა და მთებს იქით, ტყეში ცხოვრობდა კოკო. ტყე დიდი იყო. ათასნაირი ხეებით სავსე. ხეებს გემრიელი ხილი ესხა. ტყეს გვერდზე პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაკა ჩაუდიოდა. აქ დაიბადა და აქვე გაიზარდა კოკო. დახტოდა ციყვებთან და ლამაზ ყვავილებს ეძებდა პეპლებთან ერთად. მხოლოდ ზღარბს არ ეკარებოდა ახლოს, რადგან მას ხშირი და გრძელი ეკლები ასხია ტანზე.

დედას უყვარდა კოკო და კოკოსაც უყვარდა დედა. მაგრამ ჯიუტი იყო კოკო და ხშირად დედიკოს არ უგონებდა.

დედა არიგებდა, რომ მორიდებოდა სათვალიან გველს, რომელიც ჭრელია და ყველა გველზე შხამიანი. არიგებდა, არასოდეს ითამაშო მასთან ბურთიო.

კოკომ არ დაიჯერა დედის დარიგება და წავიდა სათვალიანი გველის საძებნელად, რათა მასთან ბურთი ეთამაშა.

კოკომ მზეზე გასათბობად წამოწოლილი იპოვა ის გველი და სთხოვა, ბურთი მეთამაშეო. გველი დათანხმდა.

დიდხანს თამაშობდნენ გველი და კოკო. ბოლოს, თამაშში, ბურთი სათვალეს მოხვდა და ერთი თვალი გატეხა. გაბრაზდა გველი, დაჰკრა კუდი და გახეთქა ბურთი. ბურთი საზამთრო გამოდგა. მიადგა სათვალიანი გველი და სულ შეჭამა. მწარედ ატირდა კოკო და ქვა ესროლა. მაშინ გველი შემოეხვია კოკოს და, ალბათ, სულ დაკბენდა საბრალოს, რომ საიდანღაც მოულოდნელად ზღარბი არ დასცემოდა თავზე. სათვალიანი გველი მოეშვა კოკოს და ზღარბს გაუმართა ბრძოლა. გველს ჩხვლეტდა ხშირი და გრძელი ეკლები, როდესაც ცდილობდა ტანზე შემოხვეოდა ზღარბს. ბოლოს, რაკი დაატყო, ზღარბს ვერაფერს დავაკლებო, გაიპარა და ხშირ ბალახებში დაიმალა სათვალიანი გველი, რომელიც ჭრელია და ყველა გველზე შხამიანი.

კოკო გადარჩა დაკბენასა და სიკვდილს, მაგრამ მაინც ჯიუტი და გაუგონარი დარჩა.

დედა ეუბნებოდა, იმ დიდ ხეზე არ ახვიდე, რომელიც ცას სწვდება წვერით, ზედ ვაზია შემოხვეული და მწიფე, ტკბილი ყურძენი ასხიაო.

— მამა დაგიკრეფს ყურძენს და თვითონ მოგიტანს. იქ კრაზანები ცხოვრობენ. ისინი ძლიერ ბრაზიანები არიან და გრძელი, შხამიანი ნესტარი აქვთ.

არ დაიჯერა კოკომ დედის დარიგება და მაინც წავიდა მარტო ყურძნის საჭმელად. მივიდა ტყეში და იმ დიდ ხეზე ავიდა, ცას რომ სწვდებოდა წვერით, ზედ ვაზი იყო შემოხვეული და მწიფე, ტკბილი ყურძენი ესხა.

კოკოს ძალიან ესიამოვნა ხის კენწეროზე ასვლა. იქიდან მშვენივრად ჩანდა ჭრელკაბა პეპლები და ყვავილებით სავსე ველ-მინდვრები, მდინარის პირა ჭალები და ჭალაზე მიმდინარე პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაკა.

კოკოს ეგემრიელა ყურძენი და ხარბად დაუწყო ჭამა. ბოლოს, იქამდე გათამამდა, რომ ის მტევანიც კი მოწყვიტა, რომელზეც კრაზანების ბუდე იყო.

გაჯავრდნენ კრაზანები, რადგან კოკომ მათ სახლის ერთი კედელი დაუნგრია. წამოიშალნენ და დაესივნენ პატარა ჯიუტ კოკოს. ისე დაკბინეს, რომ ტკივილებისაგან აღრიალებულმა, ტოტს ხელი შეუშვა. კოკო ხიდან ძირს ჩამოვარდა და, იქვე მდგარ პატარა მაგნოლიის ბუჩქს რომ არ დაეჭირა, უეჭველად მოიტეხდა რამეს.

ატირებული, დაკბენილი და სახე დასიებული ძლივს მივიდა შინამდე.

დედა მაშინვე მიხვდა, რომ კოკო იმ ხეზე ასულიყო, ცას რომ სწვდებოდა წვერით, ზედ ვაზი იყო შემოხვეული და მწიფე, ტკბილი ყურძენი ესხა. იქ კი კრაზანები ცხოვრობდნენ, რომლებიც ბრაზიანები არიან და გრძელი შხამიანი ნესტარი აქვთ.

დედამ კოკოს დასიებულ, დაკბენილ სახეზე პალმის ფოთლის კომპრესები დაადო და შეუხვია.

დიდხანს ეწოდა კოკოს დაკბენილი სახე და დიდხანს არ მოურჩა. ბოლოს დაუამდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილები და სახეც ისეთი გაუხდა, როგორიც დაკბენამდე ქონდა.

მაინც ჯიუტი დარჩა კოკო.

ერთხელ ცა ძლიერ მოიღრუბლა, გაიელვა, დაიჭექა და დიდი წვიმა მოვიდა. ადიდდა და ტალახისფრად აიმღვრა პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაკა, გვერდით რომ ჩაუდიოდა იმ ტყეს, სადაც ცხოვრობდა კოკო.

კოკო დახტოდა სიხარულით და საზამთროს ქერქებს ისროდა მდინარეში. ქერქებს ტალახისფრად ამღვრეული ლუკაკა ნავებივით მიაქანებდა ქვევით, სულ ქვევით, ლურჯი ზღვისაკენ, სადაც წყალი ძლიერ ღრმაა და უამრავი თევზი ცხოვრობს.

კოკომ ბევრი საზამთროს ქერქი ჩაყარა მდინარეში და ბოლოს გადაწყვიტა თვითონაც ებანავა.

ბევრი უშალა დედამ, ნუ იბანავებ, რადგან პატარა და ლურჯი მდინარე ლუკაკა დიდი და ტალახისფრად ამღვრეული იყო.

და, რადგან კოკო ჯიუტი იყო, არ დაუჯერა დედას, გაეპარა და დაიწყო ბანაობა ადიდებულ მდინარეში.

დიდხანს ბანაობდა კოკო ლუკაკაში.

არ მოეწონა ადიდებულ ლუკაკას, პატარა კოკო მას ხასაცილოდ რომ იგდებდა. გაბრაზდა მდინარე და უთხრა: საჩქაროდ დასტოვე წყალი, თორემ ვეტყვი ტალღებს და ტალღები წაგიყვანენ და იქ დაგახრჩობენ, სადაც ავი შავი მორევი ტრიალებს ყვითელ, ტიტველ კლდეებთანო.

არ დაუჯერა კოკომ ლუკაკას, რადგანაც ჯიუტი იყო.

მაშინ გაბრაზებულმა, ადიდებულმა და ტალახისფრად ამღვრეულმა ლუკაკამ, რომელიც აქამდე პატარა და ლურჯი იყო, უთხრა ტალღებს, კოკო ავსა და შავ მორევთან მიიყვანეთ ყვითელ, ტიტველ კლდეებთანო.

ტალღებმა წაიყვანეს კოკო.

შეშინებულმა კოკომ დახმარება სთხოვა ნაპირზე გადმოხრილ პატარა ტირიფს. კეთილმა ტირიფმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ტალღებმა ტირიფიც მოგლიჯეს ძირიანად და კოკოსთან ერთად წაიყვანეს იქით, სადაც ავი, შავი მორევი ტრიალებდა.

ბევრი ეცადა კოკო დასხლტომოდა ტალღებს, მაგრამ დაიღალა, დაიქანცა და ვერ დაუსხლტა.

და, როდესაც ყვითელ, ტიტველ კლდეებთან მიიყვანეს ტალღებმა, ავმა, შავმა მორევმა პირი დააღო და ჩაყლაპა ჯიუტი პატარა კოკო.

დიდხანს იდგა ყვითელ, ტიტველ კლდეებთან კოკოს დედა და ეძახდა თავის ნაყვარელ შვილს. მაგრამ იგი ვერასოდეს ველარ მოვა, გესმის, თინიკო, ვერასოდეს ვერ მოვა, რადგან ჯიუტი იყო, რადგანაც ადიდებული ლუკაკას ავმა, შავმა მორევმა ჩაყლაპა, იმ ლუკაკას მორევმა, გვერდით რომ ჩაუდის ტყეს, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა პატარა კოკო.

# ღია ბარათი საბავშვო ბაღის აღმზრდელის

პატივცემულო თამარ!

ჩემი პატარა ჯერ ასე ვერ მოგმართავთ. გაუჭირდება ამ გრძელი სიტყვის წარმოთქმა. თითქმის ერთი წელიწადია, რაც იგი თქვენთან დამყავს. ბაგაში ამოიდგა ენა, აქვე გამოჩნდა მისი პირველი კბილები, თქვენს თვალწინ დაიწყო სიარული.

დილას ისაუზმებს, წინსაფარს მოიხსნის, როგორც შეუძლია მეხმარება, რომ ჩავაცვა. მერე ოჯახის წევრებს მიუბრუნდება, მარჯვენა ხელის გულს ტუჩებთან მიიტანს.

— ნაქვამდის, — იტყვის და მოვდივართ.

— პიპი, აი პიპი, — მეუბნება იგი ავტომანქანის გამოჩენაზე.

მანქანები ძალიან უყვარს ზაზას.

ყვავილებიც უყვარს. კოკორგაშლილ ნუშისა და ატმის ხეს დიდ ყვავილს ეძახის.

თქვენთან ლექსები და სიმღერები ისწავლა. შინაც იმეორებს ხოლმე. რამდენ სიხარულს გვანიჭებს ბავშვის ყველა ახალი სიტყვა! რა მომხიბლავი ხმა აქვთ პატარებს.

მეტისმეტად უმწეო იბადება ადამიანი, დიდხანს სჭირდება დამხმარე და მზრუნველი, სანამ გაიზრდება, მოღონიერდება!

პატარაა ჩემი ზაზაც. ბევრი რამ არ იცის, ყოველ წუთში საფრთხეში იგდებს თავს, დიდ ყურადღებას მოითხოვს.

ამიტომ ბევრჯერ გადავწყვიტე თქვენთან მოყვანა და ბევრჯერ გადავიფიქრე. გულდაგულ წავიკითხე პროგრამები, დებულებები. შესანიშნავია ყველაფერი.

„არა, ამას მე შინ ვერ გავაკეთებ, თუნდაც არ ვმუშაობდე-მეთქი“, და მოვიყვანე. მაინც ვშიშობდი.

პირველ ხანებში ტიროდა, მეც ვიტანჯებოდი. დერეფანში ვიდექი და ველოდი, ვიდრე გაართობდით და დაამშვიდებდით.

მერე შეეჩვია.

ახლა რომ მოვიყვან, პაწია თითს ზარის ღილაკზე აჭერს, იღიმება და ორივენი ველოდებით თქვენს გამოჩენას.

თეთრი ხალათით, წითელჯვრიანი თეთრი ქუდით მუდამ გაღიმებული გვხვდებით.

— მოდი, ზაზა, გენაცვალე, — ამბობთ და ხელში აგყავთ ბავშვი. რა დიდი ძალაა ამ ღიმილში და ერთ წინადადებაში. იმედი მეუფლება, მხიარული მივდივარ სამუშაოზე. მხრებზე კვლავ ვგრძნობ ძვირფასი ტვირთის ნაკვალევს. მხნედ მივიჩქარი. იმ წუთში ვინმემ რომ მკითხოს, ასე რამ გაგამხიარულათო, ვუპასუხებ:

— კარგმა ადამიანმა, რომელსაც ყოველდღე სასოებით ვანდობ ჩემს საუნჯეს.

თქვენც გყოლიათ შვილები, უფროსი ვაჟი არმიაში მსახურობსო, მითხრეს.

ბარაქალა თქვენს ქალობას!

ზაზამ თქვენთან მეგობრებიც შეიძინა.

— მაია, აი, მაია, — მითხრა იმ დღეს, ბაგის ეზოში რომ შემოვედით და ფანჯარასთან მდგომ გოგონაზე მიმითითა.

ხშირად ახსენებს აგრეთვე გიას, ლაშას, ნანას.

საინტერესო სანახავია, როცა პატარები ერთად თამაშობენ.

ჩემი მოხუცი მეზობელი ზაქრო პაპა ამბობს: ყველა ეროვნების ბავშვები ესპერანტოზე ლაპარაკობენო: პიპი, კაკა, ფაფუ, ვავა და სხვა. მგონი, მართალია.

თქვენც ალბათ გახარებთ და გაღელვებთ პატარების ყოველი ახალი წარმატება. ამას ვგრძნობ დღის ბოლოს, ბავშვის წასაყვანად რომ მოვდივარ.

ყველა თქვენსავით რომ იქცეოდეს...

აი, ის ქალი, შვებულებაში ყოფნისას რომ გცვლიდათ... პირველ დღესვე კარი გააღო თუ არა, მწყრალად შემოგვხედა, ბავშვისათვის ხმა არ გაუცია, ცივად მიბრძანა:

— დასვი.

ზაზამ ტირილი დაიწყო. გული მეტკინა. რა ხანია, აღარ უტირია მანდ მოსვლისას.

აღელვებული წავედი სამუშაოზე. სულ საათს ვუყურებდი, შესვენებაზე მოვირბინე და ჩუმად, ზაზას რომ არ დავენახე, თქვენს შემცვლელს ვკითხე: ისევ ტირის-მეთქი? ძინავსო, — მითხრა და კარი გამოიხურა. იმ ქალს იქ რამდენიმე დღეს ვხვდებოდი. ერთხელ, დღის ბოლოს ზაზას დერეფანში ტანისამოსს ვაცმევდი. მაია და დედამისიც იქ იყვნენ.

— დეიდამ გცემა? — ჰკითხა დედამ მაიას. იგი ზაზაზე უფროსია. სისხლი გამეყინა. მინდოდა მეთქვა: ამ შემზარავ კითხვას როგორ აძლევს ბავშვს-მეთქი. საბედნიეროდ გოგონამ თავი გაიქნია. ცოტა გულზე მომეშვა, მაგრამ უფრო მაშინ დავმშვიდდი, როცა ის ქალი სულ გაქრა ბაგიდან.

ასეთებს არ უნდა ჰქონდეთ საქმე არც ბავშვებთან და არც უფროსებთან.

მედეა რამიშვილი

ვახტანგ ბარათაშვილი

# ომერტის კანონი

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

ანიტა ოუენი დასაწოლად ემზადებოდა: ფარდები გადმოსწია, საძინებელ ოთახში ღამის ლამფა ჩართო, და ის იყო ხალათი უნდა გაეხადა, რომ შემოსასვლელში ზარის ძლიერი რეკვა გაისმა. მყის საათს დახედა: პირველის ნახევარს უჩვენებდა. წუთით შეჩერდა, მერე ფაჩუჩებით კართან უხმაუროდ მივიდა, წყნარად იკითხა:

— ვინ არის?

კარს უკან ქმრის ყრუ ჩურჩული გაისმა..

— მე ვარ, გამიღე.

ქალი მოიღუშა: მისი ქმარი რეჯინალდ ოუენი ახლა ლოს-ანჟელოსში უნდა იყოს, შტატების მეორე ბოლოს, ის კი ჩიკაგოში, მათ ბინასთან დგას და, კარი გამიღეო, ეჩურჩულება; რაკი ეჩურჩულება, ალბათ ეშინია, ვინმემ ჩემი ხმა არ გაიგონოს ან არ დამინახოსო. ესე იგი, ლოს-ანჟელოსში რომ არ წასულა, არავინ იცის...

გასაღებმა გაიჩხაკუნა, რეჯინალდ ოუენმა მოღლილი სახით გადააბიჯა ზღურბლს, კარი გულდაგულ მიკეტა, ჯაჰვი გამოსდო და სასტუმრო ოთახში გაუხდელად შევიდა. სწრაფად შეავლო თვალი ფანჯარას და რაკი დარწმუნდა, ფარდა გადმოწეული იყო, ცოლისკენ შემობრუნდა; სახე გაფითრებოდა, ტუჩები უკანკალებდა.

— რა მოხდა? — შეეკითხა შეშინებული ანიტა. — აქ რატომა ხარ?

— არ შემიძლია, — სუნთქვას ამოაყოლა ქმარმა და სავარძელში ჩაეშვა. — არ შემიძლია, ჯანდაბაში წასულა ყველას თავი და ვინჩენცო სორდიც ზედ მიყოლია.

— ჩუმად! — გამაფრთხილებლად წაიდუდუნა ქალმა.

კაცმა ცოლს ხელები დაუჭირა, თავისკენ მიიზიდა და გაცხარებით აჩურჩულდა:

— რა ეშმაკი მინდა ლოს-ანჟელოსში ან რატომ უნდა მოვკლა კაცი, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია?! მეყოფა. ხომ გაიგე? ჯანდაბას იქით მაგ შენი „ნოსტრის თხა“* ვინჩენცო სორდისთან ერთად.

— ჩუმად! — ხელისგული ააფარა ქმარს პირზე ანიტამ. მერე მოღუშული სახით სერვანტთან მივიდა, ვისკი დაისხა და დალია. მეორე ჭიქაში ოუენს დაუსხა:

— აჰა, დალიე და ყველაფერი დინჯად მიამბე, — სიგარეტს ნერვიულად მოუკიდა და ნაფაზი დაარტყა. — ჰე!

— ჯანდაბას, — წაიბურტყუნა ოუენმა და ჭიქას ხელი ჰკრა. — მეყოფა. ჩემი იმედი ნულარ ექნებათ. მივატოვოთ ყველაფერი და წავიდეთ.

ანიტამ ქმარს გამომწვევად შეხედა.

— სად გნებავს წაბრძანება? — უთხრა წყნარად.

— გგონია, არსად არა გვაქვს წასასვლელი? — მოულოდნელად ხმა ჩაუხჩა, — ყველგან ეგენი არიან?

ქალი ცქერას განაგრძობდა. ქმარმა მის მომწვანო თვალებში დაცინვა ამოიკითხა.

— ყველგან მამაზეციერია მარტო, — ქალმა ჩამქრალი სიგარეტი გადააგდო და ახალს წაეტანა.

— ესე იგი, იცი, სად შეიძლება დამალვა? — ოუენის ხმაში იმედი გამოკრთა.

— კი, — მოკლედ უპასუხა ქალმა.

— მაშინ, — აჩქარდა ქმარი, — ზედმეტი არაფერი არ არის საჭირო, მხოლოდ აუცილებელი წავიღოთ...

ანიტამ ხელი მოჰკიდა და შეაჩერა.

— იქ თან არაფერი არ მიაქვთ, — წარმოთქვა ისევ წყნარად. ქმარი, როგორც იქნა, მიხვდა, შუბლიდან ჭირის ოფლი მოიწმინდა.

— ესე იგი, ვერსად დავემალებით? რომ განვაცხადო, თვითონ პრეზიდენტს მოვახსენო?! — მტკიცედ და ბოროტად ლაპარაკობდა.

— განაცხადე, — მხრები აიჩეჩა ქალმა, — მაგრამ შენ იმ დღესვე მოკვდები, ომერტოს** კანონი დაგავიწყდა?! შეიძლება, სწორედ იმან მოგკლას, ვის მოკვლაზეც შენ დღეს უარი თქვი.

— მე არ შემეძლო ამის ჩადენა, — ყრუდ თქვა ოუენმა, — ოთხი შვილი ჰყავს. — თავი ჩაქინდრა და ხელები სახეზე აიფარა.

— ყური მიგდე, — მოულოდნელად უთხრა ანიტამ, — აქედან უნდა წავხვიდე. როგორ არ გესმის, რომ თუ აქ გნახეს, ორივე დაგვიღუპებით...

— კარგი. — ოუენი მძიმედ წამოდგა სავარძლიდან და უკანმოუხედავად გაემართა კარისკენ.

— ვინმემ ხომ არ დაგინახა? — დაადევნა ქალმა.

— არ ვიცი, — ჯაჭვი გამოაძრო და კარი მოსწია, — წყეულიმც იყავით ყველანი, — წაილაპარაკა გასვლისას, — ყველანი, უკლებლივ.

* * *

მეორე დილით რეჯინალდ ოუენმა ლოს-ანჟელოსის პატარა წყნარ ქუჩაზე მდებარე ერთსართულიანი სახლის კარზე დააკაკუნა. სახლი ვასკო ბელინის ეკუთვნოდა.

კარი სახლის პატრონმა, გამხდარმა, ცქვიტმა იტალიელმა გააღო და ტაში შემოჰკრა:

— რეჯი, რა ქარმა გადმოგაგდო?! შემოდი, შემოდი. — ოუ-

---

* „ნოსტრის თხა“ — საიდუმლო განყოფილება მაფიის ორგანიზაციისა ამერიკაში. მაფია ტერორისტული ორგანიზაციაა კუნძულ სიცილიაზე. მაფიის ბანდა მთელ რიგ რაიონებს კონტროლს უწევს კუნძულზე. მოქმედებს მოსყიდვით, გამოძალვით, მკვლელობისა და მოსახლეობის დაშინების გზით. მაფიას იყენებენ პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

** ომერტოს კანონის მიხედვით ორგანიზაციის წევრები საიდუმლოს გამხელისა და სხვა სერიოზული დანაშაულის გამო აუცილებლად სიკვდილით ისჯებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენი სახლში შესვლისთანავე ოთხი ბიჭის გარემოცვაში აღმოჩნდა. ბიჭები მამასავით გამხდარი და ცქვიტები იყვნენ.

— ჩემი ბამბინოებია, — სიყვარულით თქვა ვასკომ, — ეს კი სინიორა ბელინი გახლავთ, — ცოლისკენ გაიხედა, რომელმაც ის იყო თავი გამოჰყო სამზარეულოდან, — იგი ახლა კარგ საუზმეს მოგვიმზადებს და...

— რაღაც უნდა გითხრა, — შეაწყვეტინა ოუენმა, — მხოლოდ ისე, რომ არავინ გაიგონოს.

— კარგი ერთი, ლაპარაკს მოვასწრებთ, ჯერ დავლიოთ...

ოუენმა თავი გაიქნია.

— არა, დრო არა მაქვს.

— მაშინ ჩემ საწოლ ოთახში შევიდეთ, — ნაწყენი კილოთი უთხრა ბელინიმ, — თქვენ კი გადით აქედან, — დაუცაცხანა ბიჭებს, — გადით და ცხვირის შემოყოფა არ გაბედოთ.

ავეჯით გატენილ პატარა საძინებელ ოთახში შევიდნენ.

— დაჯექი, — გაუწოდა სკამი ბელინიმ. თვითონ საწოლზე ჩამოჯდა.

სტუმარი არ დამჯდარა. ფეხი მოინაცვლა და ყოყმანით უთხრა:

— ვინჩენცო სორდიმ შენი მოკვლა მიბრძანა.

ვასკო ბელინიმ თავისი შავი, ზეთისხილივით მბზინავი თვალები მიაპყრო და უნდობლად გაიღიმა.

— ჯერ კიდევ გუშინ უნდა ჩამედინა ეს, — მოღუშული სახით განაგრძობდა ოუენი, — მოკლედ, ჩამოვედი, რომ გაგაფრთხილო. ახლა კი მივდივარ.

— მოიცა, — შეშინებული ხმით შეაჩერა ბელინიმ, — რა მოხდა?

— ვინჩენცოსათვის გითქვამს, ორგანიზაციიდან მინდა გავიდეო! — მოღლილი ხმით მიუგო ოუენმა.

— ჰო, ეგრე ვუთხარი, — დაუმოწმა ვასკომ, — სინიორ ვინჩენცო, ოთხი შვილი მყავს, უკვე მიჭირს თქვენთან მუშაობა-მეთქი. კიდევ ისიც ვუთხარი, ომერტოს კანონიც ვიცი, მაგრამ ჩემ ოთხ ბამბინოსა ვფიცავ, მკვდარივით დავმუნჯდები-მეთქი. მან კი მიპასუხა: კარგი, ვასკო, შენთვის გამონაკლისს დავუშვებ, მჭერა ხმას არ ამოიღებო...

— ვინჩენცო სორდიმ მიბრძანა, მომეკალი, — გაიმეორა ოუენმა. — მითხრა: ვასკო ბელინი დამპირდა მკვდარივით დავმუნჯდებიო, მაგრამ მართლა მხოლოდ ნამდვილი მიცვალებულები სდუმანო.

— რეჯ... — ვასკომ საბრალოდ გაიღიმა, — რაც ვინჩენცო სორდიმ გიბრძანა, რომ არ შეასრულო, მაშინ შენც...

— ჩემი წასვლის დროა, — ოუენმა ლაბადის საყელო აიწია, შემცივნებულივით მოიბუზა, — მშვიდობით, — თავი დაუკრა და გასასვლელისაკენ სწრაფად გაემართა.

—ღმერთო, წმინდაო ქალწულო, — წაიჩურჩულა ბელინიმ, — მასწავლე, რა ვქნა.

* * *

ვასკო ბელინი რომ კედლებს აწყდებოდა და ღმერთსა და წმინდა ქალწულს შველას შესთხოვდა, ვინჩენცო სორდი — ჩიკაგოს იდუმალი რისხვა, ერთ-ერთ თავის ბინაში ანიტა ოუენთან არც ისე სულისდამსხნელ საუბარს ეწეოდა.

— ესე იგი, წავიდა, — ჩაიბურტყუნა ჩაფიქრებულმა სორდიმ და განიერი, ბანჯგვლიანი წარბები შეჭყარა.

ანიტამ თავი დაუქნია.

— მხოლოდ სად წავიდა არ ვიცი, აქ არავინა ჰყავს, — იქნებ მაინც წავიდა ლოს-ანჟელოსში?

სორდიმ შეიგინა.

—ვენდობოდი, კუდში არავინ გავადევნე, რომ მცოდნოდა ასეთ ნომერს გაგვიკეთებდა...

ანიტას მომწვანო თვალები ჩაუმუქდა.

— შორს ვერ წავა, — ჩანთაში ხელი მოაფათურა და სიგარეტი ამოიღო.

ვინჩენცო სორდიმ გაურკვევლობის ნიშნად მხრები აიჩეჩა და ჩაიცინა: — მეც ასე მგონია.

ქალმა ყურადღებით შეხედა, მერე დაუდევრად შენიშნა:



— არ მინდა, მის ადგილზე აღმოვჩნდე.

— მეც, — თავი დაუკრა სორდიმ და ისევ ჩაეცინა.

— ყური მიგდე, ვინჩენცო, — რა გინდა ახლა გააკეთო?

— რა-ა? — თვალების ჭუტვით დააშტერდა სორდი. — ხომ არ შეგეცოდა?

— არა, მე ჩემი თავი მეცოდება, — ცივად მიუგო ანიტამ.

— ნუ გეშინია, ქვრივად ყოფნა დიდხანს არ მოგიწევს, — მხარზე დაჰკრა ხელი და გაიღიმა.

— მაგის არ მეშინია, — წყნარად შეეპასუხა ქალი.

სორდი სკამიდან წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— რა გაქვს საშიში, შენ ხომ...

— ასე ვასკო ბელინისაც კი დაპირდი, მაგრამ...

— ვასკო სხვაა, — მოიღუშა სორდი, — მან ჩვენგან წასვლა გადაწყვიტა.

— ჰო, მაგრამ, გამონაკლისს გაგიკეთებო, ხომ უთხარი...

— კი, ოღონდ მერე ვიფიქრე... იცი რა, — პირდაპირ შეხედა ქალს თვალებში, — საერთოდ, დაზღვეული არ ვიყავი, რომ ჩუმად იქნებოდა.

— კარგი, — ანიტა ადგა და კარისკენ გაემართა. — შინ მივდივარ.

— სხვაგან წასვლა არ გაბედო, შეიძლება დამჭირდე, —გააფრთხილა სორდიმ.

ქალი ნელა შემობრუნდა.

— რისთვის?

— აი... —შეჭოჭმანდა სორდი, —აი, თუნდაც იმიტომ, რომ გვამი გამოიცნო.

— ვისი? — ძლივს გასაგონად გამოსცრა ქალმა.

სორდიმ არაფერი უპასუხა.

— კარგი, შინ მივდივარ.

ვინჩენცომ თავი დაუკრა.

ქალი ქუჩაში გამოვიდა, ბრმასავით მოძრაობდა, გამვლელებს ზედ აწყდებოდა. არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. ვასკო ბელინისა და მისი ქმრის რეჯინალდ ოუენის ბედი გადაწყვეტილი იყო. ასე გადასწყვიტა ვინჩენცო სორდიმ, ჩიკაგოს იდუმალმა რისხვამ, „ნოსტრის თხის“ მეთაურმა, სწორედ იმ ვინჩენცო სორდიმ, რომელსაც ოუენმა ქვესკნელში ჩანთქმა უსურვა თავის ბანდიანად. შესაძლოა, მან ანიტას ბედიც გადაწყვიტა, ანიტასი, რომელმაც ბევრი რამ იცის ვინჩენცოს საიდუმლო თუ აშკარა საქმეთა შესახებ. ვინჩენცო აკი არ იყო დაზღვეული, რომ მისი ხელქვეითნი ჩუმად იქნებოდნენ, თუ კი ცოცხალი გადარჩებოდნენ.

მილასლასებდა ანიტა ბრმასავით, მილასლასებდა და არ იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა...

ჩიკაგოს სასაკლაოები დიდი ხანია უკან დარჩა, თითქმის მთელი ქალაქი გაიარა ფეხით, მივიდა გარეუბნებამდის, უკან დაბრუნდა, რამდენჯერმე ისე აუარ-ჩაუარა თავის სახლს, რომ არც კი შეუნიშნავს. ასე უმიზნოდ იბორიალა საღამომდე. მხოლოდ საღამოს, როცა მთლად დაბნელდა და ქალაქს უეცარმა სიგრილემ ჩაუქროლა, ანიტა შეჩერდა. უცნობ ქუჩაზე იყო. თითქოს გაეღვიძაო, ირგვლივ მიმოიხედა, ტუჩები უთრთოდა, მთელი ტანით ძაგძაგებდა. „ფინჯანი ყავა უნდა დავლიო“, გაიფიქრა და განათებულ კაფეს გახედა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. კაფეს კარი წარამარა იღებოდა შემსვლელ-გამომსვლელთათვის. „ერთი ფინჯანი ცხელი ყავა უნდა დავლიო“, გაიფიქრა ისევ, ადგილიდან დაძვრის ღონე კი არ შესწევდა. „შინ, ჩქარა შინ“! — გადაწყვიტა უეცრად.

შინ მისვლისთანავე სასწრაფოდ გაიხადა პალტო, სასტუმრო ოთახში შევიდა და მოღლილი სავარძელში ჩაეშვა, თავი საზურგეს მიაყრდნო, თვალებდახუჭულმა ფეხები გაშოტა და გაირინდა. თავში ზანტად ბორიალობდა აზრი ცხელი ყავისა და თბილი ლოგინის შესახებ. ასე ჩაეძინა.

დილით, როცა გაეღვიძა, გაოცებით შეხედა სკამზე დაგდებულ პალტოს, სავარძელს, რომელშიც ეძინა და ნაღვლიანი ღიმილით გადაიქნია თავი. „ნეტა, რა დრო იქნება?“.. — საათს შეავლო თვალი. საათი გაჩერებულიყო. ისევ გადაიქნია თავი და ხელი რადიომიმღებისაკენ გასწია. ოთახში დიქტორის ხმა გაისმა:

— მოისმინეთ სენსაციური განცხადება! მოისმინეთ სენსაციური განცხადება! დღეს, დილის ოთხ საათზე, ჩიკაგოს სასაკლაოების რაიონში პოლიციამ აღმოაჩინა შუახნის მამაკაცის გვამი...

ანიტა შეკრთა, მაგრად მოუჭირა თითები ერთმანეთს. „რეჯია!“

— სახე და სხეული,—განაგრძობდა დიქტორი, — დასახიჩრებულია. პოლიცია მიმართავს ჩიკაგოს მცხოვრებთ თხოვნით, მობრძანდნენ ქალაქის მთავარ პროზექტურაში გვამის გამოსაცნობად. მოისმინეთ სენსაციური ამბავი, მოისმინეთ სენსაციურ...

რადიომიმღები გამორთო.

—რეჯია,—წარმოთქვა ქალმა ხმამაღლა,—ან იქნებ... ეს ვასკოა?

სკამიდან პალტო აიტაცა და გზადაგზა თმის სწორებით პროზექტურაში გაიქცა.

იქ უკვე შეკრებილიყო ხალხი —აღელვებული, დარდით გათავებული ადამიანები, რომელთაც ახლობლები არ დაბრუნებოდათ შინ, და სხვისი უბედურების საჭვრეტად მოსული ცნობისმოყვარე უსაქმურები.

ანიტამ ბრბო გაარღვია და მივიდა გრძელ მაგიდასთან, რომელზეც მიცვალებული ესვენა. შორიდანვე მიხვდა, ვასკო არ იყო. გვამი ვასკოზე ბევრად დიდი იყო. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“, წაიჩურჩულა ქალმა და ნაღვლიანად ჩააშტერდა გვამს სახეში. მაგრამ, გვამს სახე და სხეული ისე ჰქონდა დასახიჩრებული, რომ ვერაფრით ვერ იცნო. უცბად ქაღალდი შენიშნა, რომელიც გვამს გვერდით ედო. ქაღალდზე დაბრეცილი ასოებით იყო დაჩხაპნილი: „ომერტოს კანონით“.

— რა არის ეს? —აამოძრავა ჩათეთრებული ტუჩები ანიტამ.

— ხელში ჰქონდა ჩადებული, —აუხსნა მორიგე პოლისმენმა.

— ღმერთო! —აღმოხდა ქალს.

— იცნობდით? —გამოცოცხლდა პოლისმენი.

— რა? — იკითხა ანიტამ და მზერა პოლისმენზე გადაიტანა, რომელიც მოუთმენლად ელოდა პასუხს.—არა, ამ კაცს მე არ ვიცნობდი.

თვალებზე ხელი აიფარა, ბრბო გაარღვია და ნელა გაემართა სახლისაკენ. თითქოს სიზმარში იყო, ისე გააღო კარი; ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს, სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, ადგილზე გაშეშდა — მაგიდას, ცოცხალი, საღ-სალამათი რეჯინალდ ოუენი ეჯდა და ცივ სოსისს ღეჭავდა.

— რეჯი... ო, ღმერთო, — ჩაილაპარაკა ჩუმად ქალმა, მაგრამ, მაშინვე ხმამაღლა შესწივლა და კისერზე ჩამოეკიდა; იცინოდა, ანჯღრევდა, ტიროდა.

— ცოცხალი ხარ, რეჯი, ცოცხალი! — იმეორებდა გაუთავებლად.

— რა თქმა უნდა, ცოცხალი ვარ, —უშფოთველად უპასუხა რეჯინალდმა და სოსისს დასწვდა.

— ახალი ამბავი გაიგე? — სწრაფად ჰკითხა ანიტამ. — მეგონა, ჭკუას დავკარგავდი.

— გავიგე —მიუგო ოუენმა.

— იყავი უკვე იქ?

რეჯინალდმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— წადი, ნახე, იქნებ, იცნო...

— ვიცნობ, უფრო სწორად, ვიცნობდი.

— ვინ არის? ღმერთო! — ანიტამ ხელი სტაცა ქმარს და მაგრად მოუჭირა, — ის ბარათი ხომ...

— იცი, რაშია საქმე? —დაიწყო ოუენმა, —ვინჩენცო სორდიმ ვასკო ბელინი გამოიძახა და უბრძანა მოვეკალი, თან დაავალა, ეს წერილი ჩაედო ჩემთვის ხელში. მაგრამ ვასკო ნამდვილი ვაჟკაცი გამოდგა; ვინჩენცოს თავი გაუხეთქა. მერე ორივემ ერთად ისე მოვაქციეთ, მშობელი დედაც ველარ იცნობს... ბოლოს ვასკოს წერილი მოაგონდა და მითხრა: ვინჩენცოს ეს წერილი უკან დავუბრუნოთ, მით უმეტეს, საკუთარი ხელით დაწერაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

ნის პარალელურად ხდებოდა. ეს ისეთი ბუნებრივი პროცესი იყო, როგორც ბუნებრივია ბავშვის შეკითხვაზე დედის პასუხი.

ანბანის შესწავლის საკითხი მარტო ბავშვის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საკითხი როდია. ასე ბავშვი ეჩვევა შრომას, ეჩვევა იმას, რომ დღის განსაზღვრულ ნაწილში, თუნდაც სულ მცირე დროით, ის უნდა მიუჯდეს წიგნს, უნდა ჰქონდეს ხელები დაბანილი, ტანისამოსი სუფთა და იჯდეს განსაზღვრული წესით. შრომას თავისი წესები აქვს. კითხვა—შრომაა. ბავშვი ეჩვევა შრომის წესებს. წესიერების გარეგნული მოთხოვნილების დაცვა ბავშვის ხასიათს აყალიბებს. ბავშვი ეჩვევა იმ აზრს, რომ ა ს ე ა ს ა ჭ ი რ ო და არა სხვანაირად. რომ ასე უ ნ დ ა

გაზეთი „სახალხო განათლება“ გასული წლის 22 სექტემბრის ნომერში წერდა:

„არიან მშობლები (და, სამწუხაროდ, მათ შორის პედაგოგებიც), რომლებიც ასე მსჯელობენ: სკოლაში მისვლამდე ბავშვმა წერა-კითხვა ოჯახში უნდა შეისწავლოსო. — ჩვენ ყოველთვის ვუთითებთ მშობლებს, რომ სრულიად შეუწყნარებელია ბავშვს ოჯახში შევასწავლოთ წერა და კითხვა“.

ამ წერილის ავტორი არაა წინააღმდეგი იმისა, რომ ბავშვს ოჯახმა შეასწავლოს ლექსები, პატარ-პატარა მოთხრობების შინაარსი, საბავშვო ზღაპრები, გამოცანები და სხვა.

მაგრამ, იმ ლექსებსა და მოთხრობებს ხომ წიგნიდანაც ასწავლის შვილს დედა? ხომ ჩაიხედავს

## მწერლის შენიშვნა

როდიონ ქორქია

# დედა და დედა ენა

სამი წლის ბავშვი ხედავს ყვავილს და ეკითხება დედას:

— ეს რა არის?

— ყვავილია, შვილო! —უპასუხებს დედა და, რასაკვირველია, ყვავილის სახელსაც ეტყვის.

ბავშვის ცხოვრებაში შემოდის ახალი სიტყვა— „ვარდი“.

ხეზე ზის ჩიტი. ბავშვი იკითხავს: რა ჩიტია? რა ჰქვია? დედა უეჭველად ეტყვის ჩიტის სახელს და ბავშვის ცხოვრებაში შემოდის მეორე ახალი სიტყვა — „შაშვი“.

ოჯახში აკაკი წერეთლის სურათი მოიტანეს. პატარა ბავშვს მოეწონა ეს ლამაზი ძია და ეკითხება დედას:

— ეს ვინაა?

— ეს აკაკია, შვილო! მან შენთვის დაწერა ლექსი, —და ეტყვის აკაკის რომელიმე საბავშვო ლექსს...

ასე, კითხვა-კითხვით, ცნობისმოყვარეობითა და ცოდნის წყურვილით ვითარდება ბავშვის გონება.

სამი წლისა ვიყავი. ეზოში ქაღალდის ნახევი ვნახე. მომეწონა ასო „წ“, მივირბინე დედასთან და ვკითხე: ეს რა არის-მეთქი? დედამ ამიხსნა. ამ ასოს სხვა ასოებიც მოჰყვა და თანდათან, ბუნებრივად, შევისწავლე კითხვა. იმ დროს არც კუბურები, არც თვალსაჩინო ხელსაწყოები, არც წიგნი-სურათი იყო სოფლის ბავშვებისათვის. სკოლებიც იშვიათი იყო. დედები ასწავლიდნენ, ოჯახი ასწავლიდა ბავშვს ანა-ბანას. განა ცუდი შვილები გამოზარდეს? რამდენი გამოზარდეს კარგი და სასარგებლო ადამიანი!..

ჰოდა, ანბანს, ე. ი. ჯერ კითხვას, მერე წერას, ოჯახი ასწავლიდა ბავშვს. ლექსების ზეპირი შესწავლა, ზღაპრებისა და ამოცანების დამახსოვრება, ბავშვის გონების ვარჯიში ანბა-მ ო ი ქ ც ე ს და არა სხვანაირად. დისციპლინა ბუნებრივად მუშავდება და მტკიცდება ბავშვის ხასიათში.

ყოველ ნორმალურ ოჯახში ბავშვი გაზეპირებული ლექსებით ახარებს მშობლებს და თუ რომელიმე სიტყვა უმართებულოდ წარმოსთქვა, დედა, მამა ან უფროსი და-ძმა შეუსწორებენ. და ბავშვი ეჩვევა უფროსების დაჯერებას, პატივისცემას. ეს სოციალური ეთიკის პირველი საფეხურია.

ასე შემოდის ბავშვის ცხოვრებაში წიგნი და ეს უნდა ხდებოდეს ოჯახში, დედის კალთაში. ასე იყო ეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე. წინათ წარმოუდგენელი იყო, შვიდი-რვა წლის ბავშვს წერა-კითხვა არ სცოდნოდა ოდნავ მაინც კულტურულ ოჯახში. არ შეიძლებოდა, წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვი მიეყვანათ სკოლაში, თუ იმ სოფელში სკოლა იყო. ეს სირცხვილად ითვლებოდა.

ჩვენ გვახსოვს ჩვენი მწერლებისა თუ საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიიდან, რომ მათ ოჯახმა შეასწავლა დედა ენა. რა სიამოვნებით და მადლობის გრძნობით იგონებენ ამ ლამაზსა და ბრძნულ ამბავს ყველა ისინი, ვინც განიცადა ბავშვობის ეს დაუვიწყარი და რომანტიკული დღეები... ასეთი რომანტიკა წითელი ძაფივით გასდევს ადამიანს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

ახლა საოცარი ამბები ხდება ჩვენს პედაგოგიკაში. ანტიპედაგოგიურ მოვლენად მიაჩნია ზოგ მეცნიერს თუ პედაგოგს, რომ შვილს დედამ ასწავლოს ანბანი, მიღწევად მიაჩნია, რომ შვიდი-რვა წლის ბავშვი ანბანის უცოდინარი მივიდეს სკოლაში.

ბავშვი წიგნში? ხომ შეეკითხება დედას (უეჭველად შეეკითხება, რადგან ბავშვი ცნობისმოყვარეა): „ეს რა არის?“ რომელი დედა ეტყვის შვილს: არ ვიციო.

საიდან მოდის ასეთი უნდობლობა ოჯახის მიმართ? განა დღეს არსებობს ოჯახი, რომ წიგნის კულტურა არ ჰქონდეს? და მშობელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ნამდვილად შეუძლია გასცეს მართებული პასუხი ბავშვის შეკითხვას: „ეს რა არის?“

მარტო პედაგოგიურ ასპარეზზე 80 ათასამდე მუშაკი გვყავს. თუ ოთხმოც ათას პედაგოგს სკოლაში ვანდობთ „აი ია“ სწორად ასწავლონ, რაღა საკუთარ ოჯახში ავუკრძალოთ?

ახლა ამ არმიას მივუმატოთ მეცნიერ-მუშაკები, პრესის მუშაკები, პარტიული მუშაკები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები... არ ვენდოთ მათ?

ყველა ზემოთქმულს ერთი მოსაზრებაც დავუმატოთ: ყველა ბავშვი ხომ ხატავს? ზოგი მათგანი ხომ მომავალი მხატვარია? და რადგან ის პროფესიულ ოსტატობას აკადემიაში უნდა დაეუფლოს, ავუკრძალოთ ჯერ ოჯახში ხატვა? ესაო და ხელი შეეშლებაო?...

ყველა ბავშვი, ყოველ შემთხვევაში, ბევრი ბავშვი, მღერის. ზოგი მათგანი მომავალი მომღერალია. მაგრამ ნამდვილ სიმღერას ის მუსიკალურ სასწავლებელში ისწავლის. მაშ, ავუკრძალოთ ბავშვს სიმღერა?

ჩვენის აზრით, სკოლამდელი ასაკის ბავშვს წერა-კითხვა დედამ, ოჯახმა უნდა ასწავლოს. დედამ უნდა შთაუნერგოს ბავშვს შრომის პატივისცემა, სამშობლოს სიყვარული, სოციალური ეთიკის საფუძვლები. ხოლო ეს ყველაფერი მოდის იმ წიგნიდან, რომელიც ასე იწყება: აი ია.

თქვენ რას იტყვით, დედებო?

# მოზარდთა სხეულის აღნაგობის ნაკლოვანებანი

სწორი ტანადობა არა მარტო აუცილებელი პირობაა ადამიანის ფიზიკური სილამაზისათვის, ის ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარიცაა. ამიტომ ვუთმობთ ჩვენ, ექიმები, ასე დიდ ყურადღებას მოზარდის სწორი აღნაგობის ჩამოყალიბებას.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოსწავლეთა შორის მაინც არაიშვიათად აღინიშნება სხეულის აღნაგობის სხვადასხვა ნაკლოვანებანი. ეს კი ძირითადად გამოწვეულია მათი ძვლოვანი სისტემის არასწორი განვითარებით. როგორი შეიძლება იყოს სხეულის აღნაგობის ნაკლოვანება? —მოხრილი ან გადახრილი ხერხემალი, ბრტყელი გულ-მკერდი, ბეჭებისა და მხრების არათანაბარი მდებარეობა, გამოზნექილი მუცელი და სხვა.

ეს დეფექტები არა მარტო აუშნოებს ადამიანს, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს მის შინაგან ორგანოთა მდებარეობაზე, მათს ფუნქციებზე: ამცირებს ფილტვების ტევადობას, აფერხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას, ცვლის გულისა და დიაფრაგმის მდებარეობას და ა. შ. ყოველივე ეს კი მძიმე გავლენას ახდენს ორგანიზმის ცხოველმოქმედებაზე, ადამიანის შრომისუნარიანობაზე და, რაც მთავარია, ამცირებს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას სხვადასხვა დაავადებისადმი.

რა იწვევს მოზარდის ჩონჩხისა და, განსაკუთრებით, ხერხემლის გამრუდებას, ესე იგი, არასწორ ტანადობას?

ძირითადი მიზეზი ბავშვის არასწორი ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდაა, სხეულის სწორი მდგომარეობის დარღვევა მეცადინეობისას, სიარულისას, წოლისას.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდის ძვალ-კუნთოვანი სისტემა მეტად მგრძნობიარეა, ადვილად განიცდის ცვლილებებს და ჯერ კიდევ განუვითარებელი სხეული არასწორ პოზას ღებულობს. თუ ეს ნაკლი დროზე არ იქნა გამოსწორებული, გაძვალების პროცესი ამ არასწორ პოზაში მოხდება და, შეიძლება, შემდგომმა მკურნალობამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღოს. რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ადვილად იცვლის ფორმას, რადგან მის ძვლებში კიდევ ჭარბობს ხრტილოვანი ნაწილები, ის დრეკადია და ნაზი.

ჩონჩხის სწორ განვითარებაზე ზრუნვა ადრე ასაკში უნდა დაიწყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი იწყებს სიარულს და შრომას. ამ მხრივ სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის ასაკის პერიოდი განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა.

ჩვილ ასაკში აღსანიშნავია აკვნის უარყოფითი გავლენა ძვალ-კუნთოვანი სისტემის განვითარებაზე. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ აკვანში გაზრდილ ბავშვთა შორის ხუთჯერ უფრო ხშირად გვხვდება ბრტყელი კეფა და ბრტყელი გულ-მკერდი, ვიდრე საწოლში თავისუფლად გაზრდილებში.



მავნე გავლენას ახდენს ჩონჩხზე ბავშვის ნაადრევად და არასწორად ხელით ტარება, ნაადრევად ფეხზე დაყენება ან სიარული, ჭოჭინით სარგებლობა, სკოლამდელ ასაკში — ხანგრძლივად მოკუზულ მდგომარეობაში თამაში, სიმძიმის ტარება, არასწორი ჯდომა, ჩაზნექილ საწოლში წოლა, ველოსიპედით ხშირად სარგებლობა, შეუფერებელ მერხზე ან მაგიდაზე ხანგრძლივად მუშაობა, ასაკთან შეუფერებელი სპორტული ვარჯიში, ხელის ჩანთის ტარება ზურგჩანთის ნაცვლად, 7-12 წლამდე ფეხბურთის თამაში, გოგონებისთვის —16 წლამდე მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული და სხვა.

არასწორი ტანადობა შესაძლოა აგრეთვე გამოწვეული იყოს ბავშვობაში გადატანილი დაავადებებით: რაქიტი, ტუბერკულოზი, რევმატიზმი, პოლიომიელიტი. ნაავადმყოფარი ბავშვები სწრაფად იღლებიან, მუშაობის დროს ღებულობენ არასწორ პოზას, ეს კი იწვევს ხერხემლის გამრუდებას. ბავშვის ტანადობის დეფექტების ძირითადი მიზეზი გამოწვეულია არახელსაყრელი გარემო-პირობებით როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. მშობლები და პედაგოგები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბავშვის სწორი ტანადობის განვითარებას და სწორი პოზის ჩვევების აღზრდას.

იმ ბავშვებს, რომელთაც ჯერ მხოლოდ მსუბუქი ფორმის, ფუნქციური ხასიათის დეფექტები აქვთ, მკურნალობის შედეგად ეს დეფექტები უფრო ადვილად გამოუსწორდებათ.

საჭიროა აღნიშნული დეფექტების ნაადრევი გამოვლინება, ბავშვებში ინდივიდუალური და ჯგუფური სპეციალური ვარჯიშების ჩატარება. ვარჯიშები შეიძლება მოეწყოს როგორც სკოლაში, ისე ოჯახის პირობებში, იმ შემთხვევაში კი, თუ ჩონჩხის განვითარებისა და, კერძოდ, ხერხემლის დეფექტი მყარი და თვალსაჩინოა, ბავშვები საჭიროებენ ხანგრძლივ, სპეციალურ ფიზიკურ მკურნალობას. ასეთი ბავშვები გაიგზავნებიან სპეციალურ სამკურნალო დისპანსერში.

მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, აღნიშნული დეფექტები თავიდანვე ავაცილოთ ბავშვებს, რათა აღვზარდოთ ლამაზი, საღი ტანადობის ახალგაზრდობა. ამისათვის ჩვენ ყველა პირობა და საშუალება მოგვეპოვება.

მშობლებმა და აღმზრდელმა მასწავლებლებმა სისტემატური მეთვალყურეობა უნდა აწარმოონ რომ მოსწავლე ან საბავშვო ბაღის აღსაზრდელი სწორ პოზაში მეცადინეობდეს. მაგიდა და მერხი უნდა შეეფარდებოდეს მოსწავლის სიმაღლეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსწავლე ყოველდღიურად საშუალოდ 6-9 საათს დამჯდარი მუშაობს და თუ მისი სხეულის სიმძიმეს არა აქვს სამ წერტილზე დაყრდნობის საშუალება (იატაკი ან საფეხური, საჯდომი სკამი და საზურგე), იგი იძულებით არასწორ პოზას ღებულობს, სწრაფად იღლება, იქანცება, უქვეითდება შრომის უნარიანობა. თანდათან ბავშვი ეჩვევა არასწორ პოზაში ჯდომას, დგომას, სიარულს და ამის გამოსწორება ძნელდება.

ეს რომ არ მოხდეს, ჩვენი საბავშვო ბაღები და სკოლები უზრუნველყოფილნი არიან შესაფერისი ავეჯით. საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის სამი ზომის სკამები და მაგიდები არსებობს. სკოლაში კი მოსწავლეთათვის ექვსი სახის სხვადასხვა ზომის მერხებია. მთავარია, სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლეს მისი სიმაღლის მიხედვით სკოლაში მივუჩინოთ შესაფერისი მერხი, ოჯახში კი — მაგიდა და სკამი.

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის პოზის დარღვევაზე მერხების არასწორი განლაგება კლასში ე. ი. როცა არ არის დაცული მანძილი: 2,0-2,5 მეტრი დაფიდან პირველ მერხამდე და 1 მეტრი გვერდითი კედლიდან მერხამდე, თორემ მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე მჯდომი მოსწავლეები დაფის და მასწავლებლის მიმართ მუდამ გვერდით პოზაში იქნებიან, რაც ხელს უწყობს ხერხემლის მარჯვნივ და მარცხნივ გადახრის განვითარებას. მერხების სწორი განლაგების დროსაც მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე მჯდომმა ბავშვებმა თვეში ერთხელ, არსებული წესის მიხედვით, უნდა შეინაცვლონ ადგილები, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთ სკოლაში არ ასრულებენ.

ზოგჯერ სახლშიც მოსწავლეები მათთვის შეუფერებელი სკამით და მაგიდით სარგებლობენ, ეს აიძულებთ მათ მოხრილ მდგომარეობაში იმეცადინონ. მშობლებმა უნდა შეუფარდონ მაგიდა და სკამი ბავშვის სიმაღლეს, სკამზე ბალიში ან წიგნი დაუდონ, ფეხქვეშ—საფეხური.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვის ლოგინში სწორ, ჰორიზონტალურ წოლას. საწოლის ბადე ჩაზნექილი არ უნდა იყოს, ბავშვს თავი არ უნდა ჰქონდეს ძლიერ მოხრილი და არც ბალიშზე მაღლა არ უნდა ედოს. ყოვლად დაუშვებელია მოსწავლემ 12 წლის ასაკამდე ხელის ჩანთა ატაროს, რომლის სიმძიმე ხშირად 2 კგ-ს და მეტს აღწევს. შემოწმებით აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მცირე ასაკისაა მოსწავლე, იმდენად უფრო მძიმე ჩანთას ატარებს. ხელის ჩანთა ხრის როგორც ხერხემალს, ისე მხარსა და გულმკერდს. სავალდებულოა, რომ მე-6 კლასამდე მაინც მოსწავლეები მხოლოდ ზურგჩანთით სარგებლობდნენ. ყოვლად დაუშვებელია, რომ მოსწავლეები, როგორც გოგონები ისე ვაჟები, ატარებდნენ ფეხსაცმელს, რომლის ქუსლი 2 სანტიმეტრს აღემატება. მაღალი ქუსლი აფერხებს სწორი პოზის გამომუშავებას, მენჯის ძვლებისა და ტერფის სწორ განვითარებას, იწვევს სწრაფ დაღლას.

ბავშვის კარგ ფიზიკურ განვითარებაზე და მის ტანადობაზე მეტად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რაციონალური კვება, დღის განრიგის ზუსტი შესრულება, სხეულის გაკაჟება, ბუნებრივი ფაქტორების ფართოდ გამოყენება, სწორი პოზების ჩვევების გამომუშავება ჯდომის, დგომის და სიარულის დროს.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების ჩატარებით უზრუნველვყოფთ მოზარდთა სწორ, ფიზიკურ განვითარებას, რაც მათი ჯანმრთელობის საწინდარია.

პროფესორი **ა. ყანჩელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წაიჩხუბნენ...

სველ ასფალტზე ქარს დაუფანტავს ჭრელი ფოთლები. სახურავებს ზემოთ დინჯად მიცურავენ დაფლეთილი ტყვიისფერი ღრუბლები. შემოდგომაა. მაგრამ ამ ბაღში მოთამაშე პატარების გუნებ-განწყობაზე როდი მოქმედებს ნაღვლიანი შემოდგომის დღე. დაჰქრიან ველოსიპედები, ფრიალებენ სახტომელები, სილაში დანავარდობენ პატარა ნიჩბები.

უეცრად ორ ბავშვს შორის კინკლაობა იმართება... ვასიკო და ნიკა ტოლები არიან. მათი ოჯახები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ და ბავშვები ხშირად თამაშობენ ერთად. ორივე მხიარულია, ბავშვურად გულღია, ონავარი. აი, ნიკამ ნიჩბისკენ წაიწია, რომელიც სწორედ იმ წუთში მის მეგობარს ეკავა. ვასიკოს არ მოეწონა მის სათამაშოზე ასეთი თავდასხმა და მოურიდებლად ხელი ჰკრა ნიკას. ბიჭი წაიქცა, და, ბუნებრივია, ატირდა. ამგვარი ცრემლები მალე შრება, ასევე მალე ხდება მეგობრების შერიგება.

საუბედუროდ, ამ სცენის მოწმე იყო „დაზარალებულის" დედა და ამიტომ თვალის დახამხამებაში ერთი წყვილის ნაცვლად ორი წყვილი თვალი აღვარღვალებდა ცრემლებს. „უცხო დეიდის" მიერ დასჯილმა ბავშვმა აწითლებულ ყურებზე ხელი წაივლო და საჩივლელად გაიქცა. ბავშვების პატარა კინკლაობა მშობლების ცხარე ჩხუბში გადაიზარდა.

ახლა, ერთმანეთს რომ ხვდებიან, უფროსები ძველებურად აღარ უღიმიან ერთმანეთს. ბავშვები კი ძალით შეჰყავთ ოთახებში, ერთმანეთთან სათამაშოდ აღარ უშვებენ.

მაგრამ პატარები ეზოში მაინც ერთად არიან. მათ დიდიხანია დაივიწყეს ის პატარა კინკლაობა. მაგრამ დროდადრო ფანჯრიდან მრისხანე შეძახილი ისმის: „იცოდე, არ გაბედო მაგ ხულიგანთან თამაში!" და სახტად დარჩენილი ბიჭუნა ზლუქუნით ტოვებს ტოლ-ამხანაგებს და განზე დგება.

„ხულიგნის" გულში კი წყენამ იფეთქა. ზიზღით უყურებს ის მიმავალ „მოღალატე" ამხანაგს. ღალატს ბავშვები არავის აპატიებენ და ნიკას ბიჭები ბოიკოტს უცხადებენ. ბავშვების უმრავლესობა ვასიკოს მხარეზეა. მათ არ უყვართ მტირალა, ენატანია ბიჭები.

ესმის კი ნიკას დედას, რატომ აითვალისწუნეს მისი შვილი? რატომ კრავენ ხელს, რატომ ართმევენ ბურთს და არ უნდათ მასთან თამაში? ის დარწმუნებულია, რომ ეს ყველაფერი მეზობლის ოინებია და ახლა კიდევ უფრო გულმოდგინედ ექომაგება შვილს, ლანძღავს ბავშვებს, ეკინკლავება მშობლებს.

მერე ნიკა? ნიკა რაღას შვრება?

თუ დედა იქვე ეგულება, ის დიდგულზეა. მის ზურგს უკან დამალული მუშტით იმუქრება, ქვას ესვრის ბავშვებს. უდედოდ კი მობუზულია, თავის თავში რწმენადაკარგული, მშიშარა. და ეს სულ დედამისის ბრალია. არადა, როგორ ოცნებობდა, შვილი ვაჟკაცი, გულადი გაეზარდა.

სამწუხაროდ, ამგვარი შემთხვევები არც ისე იშვიათია. რედაქციაში ძალიან ბევრი წერილი მოდის, რომლებშიც მშობლები ხან სევდიანად, ხან კი სასოწარკვეთილებით გვიამბობენ იმ უსიამოვნებებზე, რომლებიც უფროსებს შორის იმართება ბავშვების გამო.

„ძვირფასო რედაქცია, — იწერება ერთი. — ჩვენს ბინაში ორი ოჯახი ცხოვრობს. ორივეში ბავშვია. ჩემი მიშა ექვსი წლისაა, მეზობლის ალიკო კი—ხუთის. ბავშვები ძალიან მეგობრობენ. როგორც კი საბავშვო ბაღიდან მოვლენ, მაშინვე ერთმანეთს მოიკითხავენ. ერთხელ, ჩვენთან რომ თამაშობდნენ, ალიკომ დივანის საზურგეს დაჰკრა თავი, ცხვირიდან სისხლი წასკდა და ტირილით გაიქცა შინისკენ. თვალის დახამხამებაში შემოვარდა დედამისი და ისე, რომ არც კი გაურკვევია, რაში იყო საქმე, დაგვიწყო ლანძღვა მე და ჩემს შვილს. მეც შევყევი და, რა თქმა უნდა, მაგრად წავიჩხუბეთ. ბავშვებს ჯერ ძალიან ენატრებოდათ ერთმანეთი, მერე თურმე ჩუმ-ჩუმად ხვდებოდნენ და თამაშობდნენ. მეზობელი, აგერ ნახევარი წელი იქნება, ალიკოს ჩვენთან შემოსვლას უშლის, მე კი ხმას არ მცემს".

აღმაშფოთებელი წერილია! ექვსი თვის განმავლობაში ბავშვები ჩუმად ხვდებიან ერთმანეთს. ექვსი თვეა, იძულებული არიან მშობლები ატყუონ. ტყუილის მეშვეობით აღწევენ თავს ამ გამოუვალ მდგომარეობას. და ვინ იცის, იქნებ მომავალში ბავშვმა სულ უფრო ხშირად მიმართოს ამ „საშუალებას", მან ხომ ის პრაქტიკულად გამოსცადა! აი, რა ზიანის მოტანა შეუძლია დედების ამ უსაფუძვლო ჩხუბს.

ან როგორ გამოიყურება მათი საქციელი პატარების თვალში? ისინი ხომ თავიანთ შვილებს ზრდილობაზე ესაუბრებოდნენ, ასწავლიდნენ თავაზიან მიმართვას — „გამარჯობათ", „გმადლობთ" და სხვ. ახლა კი ბავშვები ყოველდღიურად ხედავენ, რომ მათი დედები, იმის ნაცვლად, რომ „დილა მშვიდობისა" უსურვონ ერთმანეთს და შვილებს ღირსეული ურთიერთდამოკიდებულების მაგალითი უჩვენონ, პირგამეხებულები, უბრად უვლიან გვერდს ერთმანეთს.

აი, მეორე შემთხვევაც. საერთო ბინაში რამდენიმე ოჯახია. დერეფანი დიდია და ბავშვები ერთად თამაშობენ. და, რა თქმა უნდა, ჩხუბობენ კიდეც. „ჰოდა, ძალიან ხშირად, — გვწერს ჩვენი მკითხველი, — აღრიალებული ბავშვისა და მისი აფორიაქებული დედის დასამშვიდებლად, ვალდებული ხარ შვილი დასაჯო. ამით კი მას დაუმსახურებელ წყენას აყენებ. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?"

შეუძლებელია წარმოიდგინო ისეთი ვითარება, რომ მშობლებს არ შეეძლოთ მშვიდად გაერკვნენ ბავშვების ურთიერთდამოკიდებულებაში. ეს დამოკიდებულება, როგორც წესი, უწყინარია. გაუგებრობა შემთხვევით ხასიათს ატარებს და ბავშვები მას თვითონვე სულ იოლად აგვარებენ. უფროსების ჩარევა უფრო ხშირად მხოლოდ ართულებს საქმეს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დასჯილი ბავშვი უდანაშაულო აღმოჩნდეს. მაშინ კი მისი წარმოდგენა სამართლიანობაზე ძალიან შეილახება. ბავშვს წყენა მიაყენა მისმა თანატოლმა კი არა (ამ წყენას ის ადვილად დაივიწყებს), არამედ უფროსმა, მან, ვისი ავტორიტეტიც ბავშვისთვის უდავო უნდა იყოს.

„თვითონვე მორიგდით, შვილო!" — აი, საუკეთესო და ყველაზე ჭკვიანური რჩევა, რომელიც თქვენს ბავშვს შეგიძლიათ მისცეთ.

მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ბავშვების ჩხუბში ჩარევა. აი, თუ ბავშვს ნამდვილად საფრთხე ემუქრება. მაგალითად, თუ რომელიმე ბიჭმა ქვას დაავლო ხელი და მეორეს დაუმიზნა, აქ კი ნამდვილად უნდა ჩაერიონ მშობლები, მტკიცედ, მაგრამ მშვიდად გააძევონ წესრიგის დამრღვევი საერთო თამაშიდან, და შემდეგ ეს ამბავი მის მშობლებს შეატყობინონ. დასჯის ზომა კი მისმა მშობლებმა უნდა გამონახონ: დროებით აუკრძალონ ბავშვს სხვა ბავშვებთან თამაში ან წაართვან საყვარელი სათამაშო, დაარწმუნონ, რომ ბოდიში უნდა მოუხადოს თავის ამხანაგებს.

თუ ბავშვების მოულოდნელმა წაჩხუბებამ ან ბავშვის ტირილმა ძალიან აგაღელვათ, სანამ მათ ჩხუბში ჩაერეოდეთ და შვილს დამშვიდებას დაუწყებდეთ, ჯერ თქვენ თვითონ დამშვიდდით. შეუძლებელია ბავშვების დახმარება, თუ თვითონ თქვენა ხართ ნერვიულად აღგზნებული.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის, ვისაც გულწრფელად უყვარს თავისი შვილი, არასოდეს ავნებს სხვისას. ან განა შეიძლება „სხვისი" უწოდო იმ ბავშვს, ვინც ყოველთვის შენი შვილის გვერდითაა და ვისი აღზრდისგან ბევრადაა დამოკიდებული შენი საკუთარი შვილის აღზრდაც და განვითარებაც?

**ა. ფონარიოვი,**
სსრკ სამედიცინო აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

# პარიზი — 1966

გასული წლის ბოლოს მსოფლიო მოდის კანონმდებელ ქალაქში —პარიზში მოეწყო მოდების ტრადიციული გამოფენა, რომელზეც საფრანგეთის დედაქალაქის სახელგანთქმულმა ფირმებმა და მოდელების სახლებმა წარმოადგინეს 1966 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის ტანსაცმლის მოდელები. გრანდიოზული ბაზრობის პავილიონში დემონსტრირებულ იქნა ათი ათასზე მეტი მოდელი, და ადვილი წარმოსადგენია, რა მრავალფეროვნება იქნებოდა თუ ამდენ მოდელში ორი არ იყო ერთნაირი.

ზოგადად რომ ვთქვათ, წლევანდელი მოდა ძალიან სადაა, ქალური, მოხდენილი და, რაც მთავარია, მოხერხებული.

კვლავ მოდაში რჩება ე. წ. „პრინცესის“ აჭრილობის კაბები —წელში გადაუჭრელი, თეძოს შუა ხაზიდან ქვევით გაფართოებული. როგორც წესი, ქვედატანის წინა მხარე სადაა. ძალიან მოდაშია კაბები ბოლეროს ტიპის (წელამდე სიგრძის) ჟაკეტებით. ბოლერო იმავე ქსოვილისაგან იკერება, რომლისაგანაც კაბაა შეკერილი და ეს კოსტუმის შთაბეჭდილებას ჰქმნის. კაბების უმრავლესობა, როგორც ზაფხულისა, ისე ზამთრის, უსახელოა, სამკუთხედად ამოჭრილი გულით. ზოგჯერ ამოჭრილის ნაპირები არ ჩანს, საყელოთია დაფარული. მოდაშია მკაცრად გულდახურული კაბებიც. უმეტეს შემთხვევაში, კაბები გრძელ „ელვაზე“ იკვრება, რომელიც კაბას ზურგის ნაკერში აქვს ჩადგმული და დამალული. კაბის მოსაკაზმად ხმარობენ სხვადასხვანაირ ბაფთებს და ბაფთად გაკრულ ქამრებს. ზოგჯერ კაბაზე წინ, ქამრის ადგილას ამაგრებენ ბაფთას, რომელიც საზეიმო ვითარებისთვის მინის მძივით (სტეკლიარუსით) ირთვება.

კაბის საყელოს გასაწყობად უფრო ხშირად გამოიყენება ვიწრო ირიბი ნაჭრები (ბეიკა). ასე აწყობენ კოსტუმებს და პალტოებსაც. უფრო ხშირად ბეიკა კაბის ქსოვილისგანაა გამოჭრილი ირიბი ძაფის გაყოლებით, ზოგჯერ კი სხვა ფერის ქსოვილისგან (ოღონდ გასაწყობი ქსოვილის ტონი უნდა უახლოვდებოდეს ტანსაცმლის ქსოვილის ფერს). ტანსაცმლის მორთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მსხვილი დეკორატიული გვირისტი.

წელს მოდა გვთავაზობს სხვადასხვანაირ — ჭრელს თუ უსახო თავსაფრებსა და შარფებს. პარიზელი ქალები მათ თავისებურად ატარებენ —ან სიგრძით, როგორც მამაკაცის კაშნეს, ან, თუ სამკუთხა თავსაფარია, უკან გაკრულს.

ცნობილია, რომ ღილები ძალიან ალამაზებს ტანსაცმელს. წელს ღილებშიც დიდი სხვადასხვაობაა, როგორც ფორმის, ისე სიდიდის მხრივ. მოდაშია რქის, ლითონის, პლასტმასისა და სხვა მასალის ღილები.

კაბის სიგრძე ძველებური რჩება—მუხლი დაფარულია. მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა ქალიშვილებს შეუძლიათ უფრო მოკლე ტანსაცმლის ტარება.

როგორი ქსოვილები იქნება მოდაში ახალ სეზონში? თანდათან ყავლი გაუდის უხეში ფაქტურის ქსოვილებს. გახშირდა ფუმფულა, გრძელხაოიანი ქსოვილები, აგრეთვე დიაგონალური ფაქტურისა და, წარმოიდგინეთ, გაბარდინის ტიპის უსახო, თხელი ქსოვილები.

ძირითადად კაბებს კერავენ სინთეზური ქსოვილებისაგან, რომლებიც ნაქსოვით ტრიკოტაჟს წააგავს.

და ამ სეზონის ერთი სიახლეც: დიდიხნის დავიწყების შემდეგ კვლავ მოდაში შემოდის გაზის ქსოვილი —ერთფერიცა და მოჩითულიც, უფრო მუქი ფერის, თუმცა გვხვდება ხასხასა ფერებიც. გააჩნია, რა დანიშნულებისაა ტუალეტი. პარიზის ბაზრობაზე განსაკუთრებით ბევრი იყო წარმოდგენილი გაზის კაბები და ბლუზები.

ძალიან მოხდენილად გამოიყურებოდა კოსტუმები და პალტოები უბრალო პიკეს სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილისაგან.

საღამოს ტუალეტებისა და ოფიციალური შეხვედრებისათვის ჯერ კვლავ მოდაში რჩება პრიალა ძაფგაყრილი ქსოვილები, ოღონ ეს პრიალი ძალიან ზომიერად უნდა დაჰყვებოდეს ქსოვილს. ასევე მოდაშია საგარეო კაბები სხვადასხვა ტონის კრეპ-მაროკენისგან.

მაქმანის (კრუჟევოს) კაბები კი ნამდვილად გადადის მოდიდან. ახლა ეს ქსოვილი მხოლოდ საქორწილო კაბის შესაკერად ან რაიმეს გასაწყობად თუ გამოდგება. ამჯერად მაქმანი მაქმანურმა ტრიკოტაჟმა შეცვალა. ამ ქსოვილისგან იკერება ბლუზები, კოსტუმები, კაბები.

ამ სეზონის სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს უსარჩულო პალტოებიც, რომელთა ტარება ორივე პირიდან შეიძლება.

ქვედატანები ახლა უფრო ფართოა, ვიდრე შარშან, ხშირად —ნაკეცებიანი. პარიზელ ქალებს საზეიმო შემთხვევებისთვის ძალიან მოსწონთ მძიმე აბრეშუმის ხავერდის ქვედატანები.

გაზის ბლუზებს სარჩულად შესაფერის ქსოვილს უდებენ. ასეთ ბლუზებს ძალიან უხდება შემხვედრი ან ერთ მხარეს მიმართული წვრილი ნაკეცები. სახელოს კი ხულაც არ ადგამენ.

ყოველდღე სატარებლად პლაშჩი მაინც ყველაზე მოხერხებულია. მაგრამ თუ საქმე ასარჩევად გვაქვს, ერთი სიტყვით, პლაშჩიცა გვაქვს და დემისეზონური პალტოც, ოფიციალური შეხვედრებისათვის მაინც პალტოს ჩაცმა აჯობებს.

პლაშჩები უფრო ხშირად ე. წ. „რედინგოტის“ აჭრილობისაა, ცალბორტიანი ან ორბორტიანი, სამხრეებით (პაგონებით), ქამრით, ღილებით, აბზინდით, ბოლოში გაფართოებული. პლაშჩთან თავზე იხურავენ პანამის მსგავს ქუდებს, რომლის ფარფლები დეკორატიული გვირისტითაა გაფორმებული.

ძალიან მოდაშია გრძელბეწვიანი ქურქი. ხშირად მანტო და კოსტუმები ბეწვით არის გაწყობილი. ბეწვის საყელო მხოლოდ დამა-

**შეცდომის გასწორება**

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის № 5-ში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. მე-6 გვერდზე პირველი 31 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს მის მომდევნო 32 სტრიქონის შემდეგ.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ლამაზი ქალიშვილი“. ნახატი 8 წლის თ ა მ რ ი კ ო ი ზ რ ა ი ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა (ქ. თბილისი). მეოთხე გვერდზე — „ხათუნა“. ლინოგრავიურა 8 წლის დ ა თ ო მ ა ღ რ ა ძ ი ს ა (ქ. თბილისი).

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-66 წ., ქაღალდის ზომა 60×92 ტირაჟი 71.000. შეკვ. 1383. უე 03041. ფასი 80 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქსოვის დაწყებითი სწავლება

## გაკვეთილი მე-3-ე

## თარგის მომზადება და ზომების აღება

ქ  კის დაწყებისას საჭიროა წინასწარ შეადგინოთ თარგი.

ქაღალდზე აიღეთ ზომები: ზურგის, გულმკერდის, მკლავის, საყელოსი და ა. შ. სიგრძე და სიგანე, შეაერთეთ სწორი ხაზებით, მიიღებთ სწორკუთხედს. ამ სწორკუთხედში ციფრებით აღნიშნავთ ზუსტ ზომებს: კისრის სიგანეს, იღლიის ამოჭრის ადგილს, მხრის სიგრძეს. ხელმეორედ შეამოწმებთ ზომებს და შედგენილი ნახაზით გამოჭრით თარგს. გამოჭრილი თარგით მუშაობა ყოველთვის აადვილებს ქსოვის პროცესს. თარგზე უნდა აღინიშნოს ჯიბის ადგილი, საღილე თვალი; თარგით განისაზღვრება სად უნდა ვუმატოთ, სად ვუკლოთ. ხშირად დააზომეთ თარგს ნაქსოვი, რომ განსაზღვრულ ზომას არ გადასცილდეთ.

ქსოვილის თარგი და ნაქსოვი თარგი ძირითადად ერთნაირ პრინციპზეა აგებული, ოღონდ ნაქსოვი თარგი ოდნავ განსხვავდება; იქ სადაც ამოღებულია კისრის, იღლიის, ყელის, ადგილები, უფრო გაშლილია და სწორადაა ამოღებული, რადგანაც ნაქსოვი თავის ფორმას ღებულობს ხმარებაში.

## ზომების აღება

1. გულმკერდის წრეხაზის ანაზომი; ეს ზომა საფუძვლად უდევს ნახაზის შედგენას, ამიტომ საჭიროა მისი ზუსტად აღება. ზომის აღებისას სანტიმეტრი უნდა გაატაროთ იღლიის ქვეშ ბეჭზე და შეაერთოთ თავისუფლად მკერდის ყველაზე მაღალ წერტილზე.

2. კისრის წრეხაზი; სანტიმეტრი დაბლა უნდა შემოარტყათ კისერს და წინ, ჩაწეულ ადგილას შეაერთეთ.

3 წელის წრეხაზის ანაზომი;

4. მენჯის წრეხაზი; დამოკიდებულია იმაზე, რა სიგანის ნაწარმს ამზადებთ.

5. ბეჭის სიგანე; აიღეთ ერთი მხრის ძვლიდან ოთხი თითით დაბლა, მეორე მხრის იმავე ადგილამდე.

6. წინა გულის სიგრძე იზომება კისრიდან, გულის ყველაზე მაღალი წერტილის გავლით წელამდე.

7. ზურგის სიგრძე აიღება კისრის მეშვიდე მალიდან ხერხემლის ძვლის გასწვრივ.

8. მთლიანი სიგრძე აიღება კისრის მეშვიდე მალიდან ხერხემლის ძვლის გასწვრივ, სურვილის მიხედვით.

9. მხრის სიგრძე აიღება კისრის დასაწყისიდან იმ ადგილამდე, სადაც მკლავი უერთდება მხარს.

10. მკლავის სიგრძე აიღება მხრისა და მკლავის შეერთების წერტილიდან მკლავის გასწვრივ, ცერა თითის დასაწყისამდე.

11. ხელისა და ხელის მტევნის წრეხაზის ზომა.

12. ნახევარი მკლავის წრეხაზი (მოკლე სახელოსათვის).

სიგრძის ზომა ზუსტი უნდა იყოს, რადგან ნაქსოვი სიგანით ფართოვდება. როცა ძირითად ზომებს ზომსადარის საშუალებით ადგენთ, შეგიძლიათ შეამციროთ ან გაადიდოთ თარგი.

## უკანასკნელი თვლების დამაგრება ანუ გადაქნა

ქსოვას რომ დაამთავრებთ, საჭიროა ნაქსოვიდან ჩხირების გამოღება, ამისათვის თვლები წინასწარ უნდა დაამაგროთ, ქსოვილი რომ არ დაირღვეს, ე. ი. ქსოვის დამთავრებისას ბოლო რიგის თვლები დაამაგრეთ ერთმანეთზე, მიიღებთ ქსოვილის ნაწიბურს. ამას ეწოდება თვლების გადაქნა, გადაბეჭვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ № 1



ნახ № 2



ნახ № 3



ნახ № 4



ნახ № 5



ნახ № 6



ნახ № 7

## თვლების გადაქნის (გადაბეჭვის) რამდენიმე წესი არსებობს

1. ბოლო ნაწიბური თვალი გადაიღეთ მარჯვენა ჩხირზე გამოუქსოვლად, მერე გამოქსოვეთ მეორე, მომდევნო თვალი წაღმა. მარცხენა ჩხირით გააფართოვეთ პირველად გადაღებული თვალი და მარჯვენა ჩხირით მომდევნო, მეორე გამოქსოვილი თვალი გაიღეთ ამ გაფართოებულ თვალში, ე. ი. ორ თვალს ერთმანეთზე გადააცმევთ. ასე მოქსოვთ ბოლომდე, მომდევნო თვალი წინა თვალში გაატარეთ, როცა მარცხენა ჩხირზე ერთი თვალი დარჩება. მოწყვიტეთ ძაფი გორგალს.

ნახ. 1

2. მარჯვენა ჩხირი წინიდან შეგყავთ მარცხენა ჩხირზე მდებარე წინა ორ თვალში. შემდეგ გამოსდებთ ძაფს მარჯვენა ჩხირის წვერს და გამოიღებთ უკან, ე. ი. ორ თვალს გამოქსოვთ ერთ თვალად. ასე მიღებული ერთი თვალი ისევ გადაიტანეთ მარცხენა ჩხირზე და გამოქსოვეთ მის წინამდებარე თვალთან ერთად და ა. შ. ასე მიხვალთ უკანასკნელ თვალამდე. როცა ერთი თვალი დარჩება მოწყვიტეთ ძაფი და დაამაგრეთ.

ნახ. 2

ასეთი გადაქნა საჭიროა მაშინ როცა ყველა თვალი ერთდროულად უნდა დაამაგროთ. ამას ეწოდება პირდაპირი ანუ ჩვეულებრივი გადაქნა.

მხარს, გულს, სახელოს ფორმის მიხედვით სჭირდება გაგაქნა და ამიტომ მას ირიბ გადაქნას ეძახიან, ე. ი. შემაღლებული გადაქნა, მაგალითად, მხრის გამოსაყვანად ჯერ პირველი რიგის 5 თვალს გადაქნით, დანარჩენ თვლებს გამოქსოვთ, მეორე რიგს კი გამოქსოვთ უკლებლად მესამე რიგზე კიდევ დასაწყის 5 თვალს გადაუქნით, დანარჩენს გამოქსოვთ მეოთხე რიგს უკლებლივ გამოქსოვთ. მეხუთე რიგს კიდევ დარჩენილი დასაწყისი თვლის 5 თვალს გადაუქნით, ასე ქსოვთ და თანდათან გადაუქნით, ვიდრე თვლები არ მორჩება და არ მიიღებთ მხრის შემაღლებას.

## უკანასკნელი თვლების დამაგრება გაკერვით

როცა ქსოვას დაამთავრებთ ერთ რიგს უკუღმა მოქსოვთ, რომ სწორი ხაზი კარგად აღინიშნოს. შემდეგ 3-4 რიგს მოქსოვთ ჩვეულებრივად, წაღმა თვლებით. ამის შემდეგ ამ უკუღმა ნაქსოვზე გადაუკეცავთ და ნემსით და წმინდა ძაფით ამოუხვევთ, როგორც ჩვეულებრივ ქსოვილს შემოუკეცავთ ხოლმე; თითოეულ თვალში ძაფს გაატარებთ ისე, რომ უკუღმა ნაქსოვი იქნება გამოსაჩენი ნაწიბური. ასე ფორმდება ქალის ტანსაცმელი.

არსებობს არშიის მსგავსი ნაწიბურიც. ამას უფრო ხმარობენ ბავშვის ტანსაცმლის გასაფორმებლად, ქვედატანის ბოლოზე, საყელოზე, სამაჯეებზე და სხვა.

ქსოვის დამთავრებისას ოთხ რიგს წინდისებური ნაქსოვით მოქსოვთ, შემდეგ ერთ რიგს ისე, რომ ორ თვალს გამოქსოვთ ერთ თვალად. ამის შემდეგ უმატებთ კიდევ ორ თვალს ერთ თვალად გამოქსოვთ. უმატებთ ასე ნაკლებ ნამატით, მიხვალთ ბოლო რიგამდე და წარმოიქმნება ნასვრეტები. ამ რიგს რომ დაამთავრებთ, მომდევნო რიგს სულ უკუღმა თვლებით გამოქსოვთ, დანარჩენ ოთხ რიგს ქსოვთ წინდისებური ქსოვით და ასე დაამთავრებთ. გადაკეცავთ ნასვრეტებზე და მეორე მხარეს ამოუხვევთ ნემსით და დაამაგრებთ თვლებს. მიიღებთ არშიის მსგავს ნაწიბურს.

ნახ. 3

## ჯაჭვური ნაქსოვი

ჯაჭვური ქსოვა თვლების გადანაცვლებით ხდება. ამიტომ საჭიროა გადავიტანოთ პირველი თვალი მეორის ადგილას, ხოლო მეორე — პირველის ადგილას. ეს კი შემდეგნაირად სრულდება: გამოვაძროთ ორი თვალი ჩხირს, მერე მარჯვენა ჩხირით ავიღოთ მარჯვენა თვალი და შემოვაცვათ მარცხენა ჩხირს, და პირიქით, მარცხენა ჩხირით ავიღოთ მარცხენა თვალი და შემოვაცვათ მარჯვენა ჩხირს, და ქსოვა განვაგრძოთ იმავე წესით, როგორც ეს თვლებია ასხმული მარცხენაზე.

გადანაცვლება შეიძლება მოხდეს არა მარტო ორი თვალით, არამედ 4, 6, 8 და ა. შ.

თუ 4 თვალს ვცვლით, მაშინ უნდა გავყოთ 4 ჯგუფად. ორ-ორი თვალი გავანაწილოთ ჩხირზე და ასე მივიღებთ ჯაჭვურ ნაქსოვს.

ნახ. 4 და 5

## ღილის კილო ნაქსოვზე

ღილის შესაკრავ ადგილს ნაქსოვთან ერთად ქსოვთ.

ღილის კილო შეიძლება მოქსოვოთ სამნაირად: მრგვალი კილო, ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

მრგვალი კილო. ქსოვის დამთავრებისას კილოს ადგილს ჩაჩხვლეტავთ მსხვილი ჩხირით. მერე წარმოქმნილ წრეს ამოუხვევთ ნემსით და ძაფით. ან შეიძლება ქსოვის დროს გააკეთოთ. საკინძის ადგილას უმატეთ ერთი თვალი, მეორე რიგის გავლის დროს უკუღმა მხრიდან ამ ნამატს მეზობელ თვალთან ერთად გამოქსოვთ ანუ უკლებთ. განაგრძობთ ქსოვას. ნამატ ადგილას წარმოიქმნება წრე, მერე ამოუხვევთ ნემსით და ძაფით.

ჰორიზონტალური კილო სიგანეზე იქსოვება. გამოქსოვთ ნაპირიდან 3-4 თვალს, მერე 2, 3, 4 თვალს შიგნით გადაქნით და დანარჩენ თვლებს გამოქსოვთ. მეორე რიგის გამოქსოვისას იმავე ადგილის გადაქნილი თვლების რაოდენობას ხელახლა აკრეფთ ჩხირზე და განაგრძობთ ქსოვას ჩვეულებრივ.

სიგანეზე მიიღებთ კილოს.

ნახ. 6

ვერტიკალური კილო სიგრძივი კილოა. თვლები ორად გაყავით და დაიწყეთ ქსოვა ცალ-ცალკე. ჯერ ერთ მხარეს მოქსოვეთ სასურველი სიმაღლის, მერე მეორეს მოაბამთ დამატებით ძაფს, მოქსოვთ პირველის ტოლს, შემდეგ გააერთიანებთ ორივე თვალს და იწყებთ თანაბრად ქსოვას. დამატებითი ძაფი მოწყვიტეთ და შიგნითა მხრიდან დაამაგრეთ. კილო იქსოვება ორმაგი ნაქსოვით, რომ ძირითადი სახისაგან გამოვარჩიოთ და ნაწიბური არ დაიგრიხოს.

ქალის ტანსაცმელს ღილის კილო მარჯვენა მხარეს უკეთდება, მამაკაცის ტანსაცმელს კი მარცხენა მხარეს.

ნახ. 7

ავტორი **ნინო გომიაშვილი გვეტაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრებულია პალტოზე, ასე რომ, შეიძლება მისი მოხსნა და კაბაზე ან კოსტუმზე მოდება. ბეწვეულს იყენებენ კაბებისა და კოსტუმების გასაწყობად. მისგან ზამთრის ქუდებსაც კერავენ.

რა ფერებია მოდაში?

შავი, თეთრი, ლურჯი, ყავისფერი, წითელი, ვარდისფერი, ტყვიისფერი, რუხი, მონაცრისფერო-ჩალისფერი. წელს მთელი პარიზი თეთრ და შავ ფერებშია გამოწყობილი. ამ ფერებს ატარებენ გაზაფხულზეც და ზაფხულშიც. ზოგჯერ სხვა ფერთან კომბინაციაში, მაგალითად, ბაცვარდისფერთან, მოყვითალო ყავისფერთან, ხორცისფერთან, ხასხასა მწვანესთან, მუქ წითელთან (ალუბლისფერთან).

კვლავ შემოდის მოდაში ხელოვნური მარგალიტი: მძივები, ერთ ან ორ რიგად, აგრეთვე მარგალიტის საყურეები და ბეჭდები.

ფეხსაცმლის მოდა ფრანგებს თავისებურად ესმით. ისინი გაურბიან ძალზე მსხვილ





და დაბალ ქუსლებს. არ სცვლიან ქუსლის სიმაღლეს, ოღონდ ოდნავ ამსხვილებენ და ოდნავ უკან სწევენ. ფეხსაცმელი სხვადასხვანაირი ბაფთებითა და აბზინდებით არის მორთული.

ჩანთები ფართოა, ტყავადი, უფრო ხშირად — ორსახელურიანი, თუმცა გვხვდება ერთსახელურიანი, მხარზე გადასაკიდებელი ჩანთებიც. ამ ტიპის ჩანთა განსაკუთრებით საგაზაფხულო ტუალეტს მოუხდება.

ИНДЕКС 76178

